

**ჩვენი რედაქცია ასევე მისამართზეა:  
მარაბლის 7. ტელ. 2 93 37 87.**

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმეში,  
ბეჭდით ბეჭდუდი სიფყვას,  
ცყილებით და ჭებრით ბუბთის  
გაცანა ყულა უჯადისმბაზე  
უსამაგლესია.



**დაარსებულია  
1918 წელს.**

პარასკევი, 1 მაისი, 2015 წელი.  
№79 (7724)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge)

ვებ გვერდი: [www.sakresp.ge](http://www.sakresp.ge)

**ფასი 50 თეთრი.**

## ბიძინა ივანიშვილი სამთავრობო ცვლილებებს მუშა პროცესად მიიჩნევს

სამთავრობო ცვლილებები ეს ჩვეულებრივი მუშა პროცესია. ძალიან კარგი განცხადებები გაკეთდა, კითხვები არ ისმის, მაგრამ ოპოზიციის ნაწილი ამას სხვა კუთხით განიხილავს.



2



5

## „საუბრისი“ მესნიერების სასრებლოდ უნდა გადაწყდეს

უძველესი კულტურის ქვეყნებში: სირიაში, ლიბიაში, ერაყში... კონფლიქტებია. მთელი ახლო აღმოსავლეთი არანელსაყრელია ამ თვალსაზრისით. ამიტომ, ახლა გვაქვს შანსი, საქართველოსკენ მოვიზიდოთ საერთაშორისო ინტერესები და აქ ჩაიდოს მეცნიერული ინვესტიცია. ფონდები კი არ უნდა ჩავკეტოთ, არამედ გავესწნათ, ღია გავხადოთ, რომ უფრო ფართო საზოგადოებამ ნახოს.

**მანანა  
კობახიძე**



4

## იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ სამ წელიწადში ერთხელ პატარომ არჩვენები

თურმე ქვეყანას მთავრობა აღარ ჰყავს, თურმე დაიშალა ეს მთავრობა. ვინც ამას ამბობს და წერს, ვურჩევ, წაიკითხოს კონსტიტუცია, ეს არასწორი ინტერპრეტაციაა, რომელიც აბნევს საზოგადოებას

**ღღის ამოქაზურიდან**

## რას ლაპარაკობს ხალხის უპრაპოსობა

– ზნაობრივად, პოლიტიკურად და ადამიანურად ყოვლადგაუფასურებულ და ყოვლადგაკოტრებულ ნაციონალებს, კერძოდ, ეგრეთ წოდებულ ნაციონალთა გენერალურ მდივანს ცნობილ დემაგოგსა და ძალით თავგაქსპერტებულ ზურაბ ჯაფარიძეს ნამდვილად არა აქვს იმის მორალური უფლება,



რომ საგანგებო ბრიფინგები მართოს და შორს გამიზნულად, ხალხის გულის გასანეთქად ცხოვრების გაუფასურებაზე ფუჭად ისიტყვანიაღვაროს.

ახლა გაგახსენათ თავი გაჭირვებულმა ხალხმა ხელი-სუფლებასში მობრუნების ავად უინშეპყრობილო, ათას უბედურებაში დამნაშავე ნაციონალებო?!



6

## აღშენებლობა თუ დაღშენებლობა?!

**რამაზ  
საჰვარელიძე**



3

## მეპროვალ გუნდისთვის პრაიმის უსვლა ნამგებინანი ნაბიჯი იქნება!

პრემიერი მეტისმეტად მკაფიო ფიგურაა და უმრავლესობამ თუ მისი შეცვლა გადაწყვიტა, მაშინ გამოდის, რომ მთელი მმართველი გუნდი აქამდე არასწორ პოლიტიკას ატარებდა. ცალკეული მინისტრების შეცვლა უფრო ტექნიკურ ხასიათს ატარებს.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..**





# რამაზ საყვარელიძე: - მმართველი გუნდისთვის პრემიის უსვლა ნამბეზიანი ნაბიჯი იქნება!

საუნიკო და საბარო პოლიტიკის ანტიპარტოზი „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძის ესაუბრა

**- ბატონო რამაზ, სპორტის მინისტრმა ლევან ვიფინია თანამდებობა დატოვა. მან თქვა, რომ არ უნდოდა თანაგუნდელებთან დაპირისპირება და თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს მთავრობაში საკადრო ცვლილებები?**

- მთავრობის საქმიანობის ბოლო პერიოდის დინამიკა გვიჩვენებს, რომ მთავრობის შემადგენლობა ლარიზაციაში მერ მოყვანილმა ხალხმა დატოვა. ჩემი აზრით, ლარიზაციის ზოგადი სტრატეგია მთავრობის წევრებისთვის იმ იარაღის მოხსნაა, რომ ესა თუ ის ადამიანი მთავრობაში მისი მოყვანილია. მეორე მხრივ, ერთი რამ ფაქტია, მთავრობის შემადგენლობაში უმტივირებულ მინისტრებმა დატოვეს თანამდებობები. სიმართლე გითხრათ, ვინაიდან იყო საუბარი უფრო დიდ ცვლილებებზეც, მეც ველოდი, რომ ამგვარი ცვლილებები შეიძლება მომხდარიყო. ჩემთვის ის აზრი მიწვევდა წინააღმდეგობას, რომ არჩევნების ანგარიშით ჯერ ადრეა მთავრობაში დიდი ცვლილებების განხორციელება. ამ ტიპის კარდინალური ცვლილებები, როცა მნიშვნელოვანი პორტფელები ახალ პირებს ეძლევათ, არჩევნებთან ცოტა უფრო ახლოს ხდება. ასე რომ ასეთი პირები შეიცვალოს, შემდეგ მოახერხებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიანთი იმიჯის გაფუჭებას. მნიშვნელოვანი პორტფელის პირები ისეთ დროს უნდა შეიცვალოს, რომ მათი იმიჯის გაფუჭება ვერ შეძლონ და, ფაქტობრივად, მოსახლეობამ სხვა ახალადანიშნულ მინისტრებს მისცენ.

მე მაინც მგონია, რომ მთავრობაში საკადრო ცვლილებები შეიძლება, უკავშირდებოდეს იმ ტიპის პოზიციებს, რომ ლარიზაციისთვის დასაფუძვლებელი არ იყოს, რომ მთავრობაში თავისი გუნდი მოჰყავს.

**- ანუ არსებობს ალბათობა, რომ მმართველმა გუნდმა არჩევნებამდე პრემიის შეცვალის და მთავრობის მთელი შემადგენლობა?**

- პრემიის შეცვლა სხვა საკითხია, რადგან მმართველი გუნდისთვის ლარი-

ზაციის შეცვლა ყველა შემთხვევაში ძალიან წამგებიანი ნაბიჯი იქნებოდა. პრემიის შეცვლა მკაფიო ფიგურაა და უმრავლესობამ თუ მისი შეცვლა გადაწყვიტა, მაშინ გამოდის, რომ მთელი მმართველი გუნდი აქამდე არასწორ პოლიტიკას ატარებდა. ცალკეული მინისტრების შეცვლა უფრო ტექნიკური ხასიათს ატარებს, ვიდრე პოლიტიკური ცვლილებისას. ეს კი სხვადასხვა კატეგორიის მოვლენებია.

**- იმის გათვალისწინებით, რომ შავლიაშვილის მისივე მოადგილე, ახლა უკვე მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ჯგაჯიანი უწყებაში კორუფციული სქემების არსებობაში სდებდა ბრალს, ვიფინიის მოადგილეებსაც ფედერაციებში საექსპორტო გადაიტვირთვებს ედავებოდნენ ექსპორტის მინისტრის პარლამენტარები, უცნაურად სომარ გენერლებთან, რომ მმართველმა გუნდმა მათ მსოფლიო თანამდებობების დატოვება აკმარა?**

- ყველა ბრალდებას სამართლებრივი შედეგი რომ მოჰყვებოდა, საგამოძიებო პროცესები უნდა დაიწყო და მხოლოდ შემდეგ შეიძლება სხვა დამატებითი ნაბიჯების გადადგმა. რამდენადაც ვხედავ, თქვენი კითხვა იმას გულისხმობს, თუ რატომ არ დაიწყო მათთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება. ეტყობა, მათი დანაშაულის იურიდიული საბუთი არ არსებობს.

**- თუ მმართველ გუნდში ჩაითვალია, რომ პრემიის ლარიზაციის კადრებმა არ გაამართლეს, რამდენად დიდია ალბათობა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრემიის ლარიზაციის დარჩა, მინისტრებს სწორედ იგი შეაჩვენებს და კიდევ, საგარეო უწყებებში შეიძლება იყვნენ ისინი? როგორც პრემიის მინისტრი, მთავრობაში მსოფლიო ორი ახალი მინისტრი იქნება...**

- ზოგადად, სამთავრობო პოლიტიკა უფრო მეტად კოლექტიური გადაწყვეტილების საგანი გახდება, ვიდრე აქამდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად პასუხისმგებელი ერთი პირი, ჩვენ შემთხვევაში პრემიერია, მაინც მგონია, რომ უმრავლესობა იმ პირთა წრეს გაზრდის, რომელთაც ესა თუ ის გადაწყვეტილებები მზადდება, ანუ, ვვარაუდობ, რომ „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა უფრო კოლექტიური იქნება, ვიდრე იყო აქამდე.

**- სოციალურ ქსელში სერიოზულად განიხილება მოსაზრება, რომლის თანახმადაც, თუ 2016 წლის არჩევნებს ივანიშვილ-ლარიზაციის მთავრობა ჩაატარებს, შემდეგ პარლამენტში ვერც ერთი პოლიტიკუ-**

რი ძალა ვერ შევა, რომლებიც ივანიშვილს არ ეთანხმებიან. „ქართულ ოცნებას“ და ბურჯანაძე-ივანიშვილის გუნდებს საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნებათ, რაც საფუძველი გასდება იმისა, რომ ქვეყნის საგარეო კურსი ერთმნიშვნელოვნად შეიცვლება. თქვენ მოგვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებას რამდენად შესაძლებლად მიიჩნევთ?

- თუკი ენ-დი-აისა და IRI-ის გამოკითხვის შედეგებს მივანიჭებთ მნიშვნელობას, (მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, ბევრი თვალსაზრისით არის ხარვეზიანი), „ქართული ოცნების“ რეიტინგი შორსაა 50%-დანაც კი. სამსუხაროდ, სხვა კვლევები ჯერ არ ვიცი. თუ „ქართული ოცნებას“ ექნა ხმათა 1/3, ან ცოტა მეტი, მაშინ დანარჩენი ხმები დანაწილდება. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ შემდეგი პარლამენტი იქნება 4 ან 5-სუბიექტიანი. მაშინ „ქართული ოცნებას“ ძალაუნებურად პორტფელის რაღაც ნაწილის მიცემა სხვა პოლიტიკური ჯგუფებისთვის მოუწევს და რეალურად კოალიციური მთავრობა გვეყოლება.

კოალიციური პოლიტიკური ძალა ერთი და კოალიციური მთავრობა - მეორე. კოალიციური მთავრობის მართვას ძალიან მაღალი პოლიტიკური კულტურა სჭირდება. კოალიციური მთავრობის პირობებში კოპაბიტაციის დროინდელი ანალოგიური პროცესები, როცა პრემი-დენტი სხვა გუნდის წევრი იყო, გაძლიერდება. ვგულისხმობ საბოტაჟის ტიპის პროცესებს. ამის მოვლა გაცილებით რთული იქნება. ასე რომ, „ოცნების“ პოლიტიკური ფიგურები გაცილებით უფრო რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდებიან, ვიდრე დღეს არიან. მართვის ტექნიკური ამოცანების სირთულე ჯანდაბას, მთავარია, ქვეყანა ჩავარდნაში ძალიან რთულ სიტუაციაში. ამიტომ, მე ვისურვებდი, რომ, ვისაც ეს ხელეწიფება, გადახედვით და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე ეფიქრათ იმაზე, თუ რამდენად აძლევს ხელს დღევანდელ საქართველოს, იყოს მიახლოებული საპარლამენტო რესპუბლიკასთან და კოალიციური მთავრობის რეჟიმით იმართებოდეს.

**- პარლამენტისგარეშე დარჩენილი ოპოზიცია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს. გააქტიურდა საუბრები კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასა და მართლმადიდებელი საარჩევნო სისტემის გაუქმებაზე. იუსტიციის მინისტრი თუა წულუკიანი მიიჩნევს, რომ „მართლმადიდებელი სისტემის ერთი ნელის მოსმით გაუქმება სწორი არ იქნებოდა“.**

თქვენი აზრით, რატომ იკავებს თავს ხელისუფლება საარჩევნო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილებების გატარებაზე?

- ნებისმიერი სიახლე ხელისუფლებისთვის ბევრ სირთულეს წარმოშობს. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლება ხშირად თავს იკავებს. მითუმეტეს, რომ არსებული კანონი ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია. ქვეყნის ინტერესის თვალსაზრისითა და პოლიტიკური გამართულობის თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მე დავეთანხმებოდი მინისტრის წულუკიანს, რომ ასე ერთბაშად მაჟორიტარული სისტემის გაუქმება არასწორი იქნებოდა. იმიტომ, რომ მაჟორიტარები არ გამოგვადგა, ამ სისტემის მოსპობა არ მეჩვენება სწორი. ჩვენ იმიტომ, რომ პრემი-დენტი არ გამოგვადგა, ეს ინსტიტუტი ზომაზე მეტად დავაყენეთ. ამ ნაბიჯებით ავტორიტარიზმის მოსპობა გვინდოდა, მაგრამ სხვა სახელით მიღებული ავტორიტარიზმი დავამკვიდრეთ. ანალოგიურად, ალბ-მიცემობისა და ხალხის უგულვლყოფის ავადმყოფობა გვინდა მოვსპოთ მაჟორიტარებში, მაგრამ ამან ხომ შეიძლება პარტიებში გადმოინაცვლოს. მაჟორიტარების დიდი ნაწილი ხომ პარტიების წარდგენილი მაჟორიტარები არიან. ისინი რატომ არ ასრულებენ თავინთ ფუნქციას კარგად? მეჩვენება, გამოსავალს სხვაგან ვეძებთ და რეალურად იგი სხვაგან არის. ჩვენ, რაც ადვილია, იმას ვაკეთებთ და არა იმას, რაც საჭიროა.

**- აქტივალურ თემად რჩება ევროკავშირის რიგის სამიტი. საკითხი იმაზე, მიიღებს თუ არა საქართველო ევროპასთან უფრო მიმოსვლის რეჟიმს, საგარეო საქმეთა ექსპრეს-საგარეო მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებს: - „საქართველოს საკმარისი შანსი აქვს ვიზალიზირებული ზონის გზაზე“. ექსპრეს-საგარეო მინისტრი თუა წულუკიანი მიიჩნევს, რომ თუ ასეა საქართველო უფრო მიმოსვლა ვერ მიიღო, „გასწილი რუსეთი ჩაკეტილი ევროპის საბირწონედ საკმაოდ დიდი რისკია“. ასეთ ფონზე თქვენი მოლოდინი ამ საკითხში როგორია?**

- ჩემი აზრით, კოორდინირებული მოქმედება დიდი შედეგის მომტანი არ იქნება. არც კივე და კიშინიოვი იყო ამ საკითხში კოორდინირებული და მათ სხვადასხვა შედეგი მიიღეს. არა მგონია, რომ ამ ქვეყნების კოორდინაციამ არსებითად რამე შეცვალოს. ევროპის ქვეყნების კოორდინირებული მოქმედება ამ ქვეყნების მიმართ ერთიან სტრატეგიაზე დამოკიდებული და ესაა მთავარი და არა ამ ქვეყნების აქტიურობა და მოქმედება. სახლში შემოვება უფრო სახლის მასპინძელზე დამოკიდებული და არა სტუმარზე. ევროპა ლიად ლაპარაკობს იმაზე, რომ მას რუსეთის გაღიზიანება არ უნდა. გერმანია-საფრანგეთს ვგულისხმობ. ამ ფონზე ვიზალიზირებული ზონის თემის მდგომარეობა დააბრალო მხოლოდ საქართველოს, უკრაინის ან მოლდოვას მთავრობებს, არა მგონია, რომ ადევკვალური იყოს. აბსოლუტურად არასწორია...

ესაუბრა კოზა ზენდელიანი

## აუდიტის სამსახური

# პრემიები ხელფასის 50%-დან 367%-მდე თანხას შეადგენდა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორი 2013 წლის განმავლობაში პრემიას ყოველთვიურად იღებდა.

ამასთან, აუდიტორების დასკვნის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში პრემია ყოველთვიურად გაიცემოდა სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეებზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებზე, მათ მოადგილეებსა და განყოფილების უფროსებზე.

ანგარიშის მიხედვით, 2013 წელს მათზე ყოველთვიურად გაცემული პრემიების ოდენობა ხელფასის 50%-დან 367%-მდე შეადგენდა. „2013 წელს სააგენტოში შრომის ანაზღაურებაზე საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 2776.8 ათასი ლარი, აქედან ხელფასის სახით - 1720.8 ათასი ლარი (62%), ხოლო პრემიის სახით - 1056.0 ათასი ლარი (38%). იყო შემთხვევები, როდესაც სააგენტოს რიგ თანამშრომლებზე გაიცემოდა ხელფასის ოდენობის და ხელფასზე მეტი ოდენობის პრემია, ხოლო დეკემბერში

სააგენტოს თანამშრომელზე გაცემულია პრემია ხელფასის 367%-ის ოდენობით. ყოველთვიურად პრემიები ძირითადად გაიცემოდა სააგენტოს დირექტორზე (2013 წელს), სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეებზე, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებზე (სამსახურის უფროსებზე), მათ მოადგილეებზე და განყოფილების უფროსებზე. აუდიტის დაქვემდებარებულ პერიოდში ყოველთვიურად მათზე გაცემული პრემიების ოდენობა ხელფასის 50%-დან 367%-მდე შეადგენდა“, - ნათქვამია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

რაც შეეხება 2012 წელს, აუდიტორების ინფორმაციით, აღნიშნული თანამდებობის პირებზე სულ გაცემულია 337 ათასი ლარი (41%), ხოლო 2013 წელს 472.4 ათასი ლარი (45%). „2012 წელს აღნიშნული პირების ხვედრითი წილი სააგენტოს მთლიან თანამშრომელთა 22,2%-ს შეადგენს, ხოლო 2013 წელს 17,1%-ს. მიზანშეწონილი იქნება სააგენტოში ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინოს გასაწევი ხარჯების აუცილებლობა,

ხოლო მასში ცვლილებები განხორციელდეს სააგენტოსათვის მნიშვნელოვანი ხარჯების დასაფინანსებლად“, - აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ზურაბ ახალკაციშვილი ხელმძღვანელობდა. მან რამდენიმე დღის წინათ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზად სწორედ აუდიტის სამსახურის დასკვნა დასახელდა.



არავითარი სამთავრობო კრიზისი არ არის!

„იმიტომ უფუნება არ გვაქვს, რომ სამ წელიწადში ერთხელ ვატაროთ არჩევნები“



პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ჟურნალისტებს საყვედურებს „მედიაში დაუზუსტებელი ინფორმაციის“ გავრცელებისთვის - თითქოს, მთავრობას უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს და, რომ ქვეყნას პრემიერ-მინისტრი არ ჰყავს. როგორც კობახიძე აცხადებს, 2013 წლის საშემოდგომო სესიაზე კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, მთავრობის ერთი მესამედით განახლების შემთხვევაში პარლამენტმა ხელახლა გამოუცხადოს ნდობა მთავრობას, რაც არ ნიშნავს მთავრობის მეთაურის გადადგომას.

გაგრძელდება თუ არა სამთავრობო ცვლილება და რა შემთხვევაში გაიმართება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერს მანანა კობახიძეს ვსაუბრობთ.

— მთავრობის ერთი მესამედი შეიცვალა, ადასტურებთ, რომ ეს არის სამთავრობო კრიზისი?

— სამწუხაროდ, მთელი დღეა, არასწორ განმარტებებს ვისმენ. ალბათ, საჭიროა, რომ ამ შემთხვევაში, მედიის მხრიდანაც კითხვები სწორად იქნას დასმული და საზოგადოებას სწორად მივანოძოთ ინფორმაცია, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში ვიტყვი, რომ მთავრობის შემადგენლობის განახლება ეს არის ჩვეულებრივი პროცესი. მინისტრების ცვლილება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება და ამას არავითარი კავშირი არა აქვს სამთავრობო კრიზისთან. კრიზისია მაშინ, როდესაც მთავრობა კარგავს უმრავლესობას პარლამენტში, როდესაც მთავრობასა და პარლამენტს შორის არის დაპირისპირება და ა.შ. ასეთი ვითარება ქმნის საფუძველს ვისაუბროთ სამთავრობო კრიზისზე. როდესაც საკუთარი სურვილით მიდის მინისტრი, ან პრემიერი გადააყენებს, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია.

— ყოველდღიურ რეჟიმში მინისტრების ცვლილება მიგაჩნიათ, რომ ნორმალური პროცესია?

— პრემიერს ჰქონდა უფლება, რომ ერთდროულად შეეცვალა მთავრობის ერთი მესამედი და ხელახლა მოემართა პარლამენტისთვის ნდობის მოპოვების მიზნით. შეიძლება ერთ დღეში მომხდარიყო ყველა ცვლილება. უბრალოდ, ამ ორი მინისტრის შემთხვევაში სხვა ვითარება შეიქმნა. შავილაშვილის შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო წინაპირობა, ხოლო შვილის შემთხვევაში კი საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად ყოფნის სურვილი. რაც შეეხება ლევან ყიფიანს, გარკვეული წინააღმდეგობა იყო სპორტის კომიტეტსა და მინისტრს შორის, რისი დამალვა არავის უცდია. საუბარი იმაზე, რომ მთავრობა დაიშალა, მთავრობა გადადგა, ეს სიმართლე არ შეესაბამება.

— მთავრობის ერთი მესამედის შეცვლა, არ იწვევს მთავრობის გადადგომას?

— არა.  
— მაგრამ, არსებობს კონსტიტუცია, რომელიც ამბობს, რომ მთავრობის ერთი მესამედის შეცვლა, ავტომატურად იწვევს მთავრობის გადადგომას...

— გადადგა სამი მინისტრი, მაგრამ ვაკანსია არის მხოლოდ ორ შემთხვევაში. რადგან ინფრასტრუქტურის მინისტრი უკვე გვყავს, სხვა მინისტრები ადგილზე რჩებიან, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი, რომელიც ჩვეულებრივად ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. პრემიერ-მინისტრის შეცვლას არავინ აპირებს. მთავრობა მუშაობს და აქ არც მოვალეობის შესრულებაზე არ არის საუბარი, არამედ ისინი მთავრობის სრულუფლებიანი წევრები არიან. ვაკანტურია ორი თანამდებობა და პრემიერის ექსკლუზიური უფლებაა, დანიშნოს ახალი მინისტრები და ამის შემდეგ, პრეზიდენტმა მთავრობის განახლებული შემადგენლობა ნდობის მისაღებად უნდა წარმოგიდგინოს პარლამენტში.

საზგასმით მინდა, აღვნიშნო ცვლილება, რომ მთავრობის ერთი მესამედით განახლების შემთხვევაში პარლამენტმა ხელახლა უნდა გამოუცხადოს ნდობა მთავრობას, ეს ცვლილება კონსტიტუციაში ჩვენ შევიტანეთ 2013 წლის საშემოდგომო სესიაზე და ეს არ ნიშნავს მთავრობის მეთაურის გადადგომას. ეს ცვლილება მიანიშნებს იმას, რომ დღევანდელი პარლამენტი განსხვავებულია წინა მონვევის პარლამენტისგან. ნუ დავინახავთ ცუდს, პირიქით, დავინახოთ პროგრესი, რადგან ნებისმიერი განახლება უნდა ემსახურებოდეს პროგრესს, რომელიც მიმართული უნდა იყოს რეფორმების დაქარაღვინებისკენ.

— ლარის კურსს თუ გადავხედავთ, ქვეყნის პროგრესისთვის რა უფრო მნიშვნელოვანი იყო — სპრატისა და გარემოს დაცვის მინისტრების გადადგომა, თუ ეკონომიკური გზინების?

— ასე ნუ დავაკავშირებთ ერთმანეთს. ადამიანები ნავიდნენ თავისი სურვილით. ისინი პრემიერს არ გადაუყენებია იმიტომ, რომ მოვალეობას არ ასრულებდნენ. ბუნებრივია, ლარის კურსი და ეკონომიკა კავშირში არ არის სპორტთან და გარემოს დაცვასთან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს გადადგომები მოხდა საკუთარი სურვილით. მე ზოგადად ვამბობ, რომ ცვლილებები ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ხდება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ნებისმიერი ცვლილება მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ რეფორმები გაგრძელდეს შესაბამის ფარგლებში.

— მთავრობას ტოვებენ ის ადამიანები, რომლებიც ირაკლი ლარიბაშვილის გუნდის წევრებად მოიაზრებიან, ეს არ არის ლარიბაშვილის შესუსტების მცდელობა?

— ეს არის ნაციონალური მოძრაობის რიტორიკა, რასაც, სამწუხაროდ, ექსპერტები იმეორებენ და ზოგჯერ ჟურნალისტებიც ავრცელებენ.

— რა კავშირშია ნაციონალისტების რიტორიკა ფაქტთან, როდესაც ეს პროცესი დაიწყო ზვიად ჯანყარაშვილით, მას მოჰყვა შს მინისტრი, შეიცვალა უწყების თითქმის ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირი, მათ შორის შეიცვალა ეკონომიკური საბჭოს შემადგენლობა, განთავისუფლდა ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელიც ირაკლი ლარიბაშვილის მიერ იყო მოყვანილი...

— რადგან ჯანყარაშვილი ახსენეთ, ზუსტად, ჯანყარაშვილის წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანია პირდაპირ ემსახურება პრემიერ-მინისტრის, მთავრობისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას, ეს არის სწორედ ნაციონალისტების დღის წესრიგი. მიმდინარეობს ამ ადამიანის დისკრედიტაცია და რაღაცა აბსურდული ბრალდების წაყენება, იმიტომ მიმართა მან პროკურა-

ტურასა და სასამართლოს. ეს ადამიანი ითხოვს, დაილოს ფაქტები. ყველაფრის ჯანყარაშვილთან დაკავშირება, ეს არის ლარიბაშვილის დისკრედიტაციის მცდელობა, რაც არის კონკრეტული ძალის მიზანი.

თურმე ქვეყანას მთავრობა აღარ ჰყავს, თურმე დაიშალა ეს მთავრობა. ვინც ამას ამბობს და წერს, ვურჩევ, ნაიკითხოს კონსტიტუცია, ეს არასწორი ინტერპრეტაციაა, რომელიც აბნევს საზოგადოებას. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, როგორ აღიქვამენ ასეთი სახის მესიჯებს უცხოეთში ჩვენი მოკეთებები თუ არააკეთილმოსურნეები. რატომ უნდა შექმნა რაღაცა დესტაბილიზაციის ფონი, რომ თურმე ქვეყანაში რაღაცა აირ-ღიბრია?

— არ თვლით, რომ თვითონ მთავრობა უწყობს ხელს ამგვარ პროცესებს, ამ ყოველდღიური გადადგომებით და განცხადებებით?

— როდესაც მედია ავრცელებს ასეთ ინფორმაციას, რომ მთავრობა დაიშალა და ქვეყნას მთავრობა არ ჰყავს, რას ნიშნავს ეს? ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყანაში, შედეგში საპარლამენტო არჩევნები 4 თვის განმავლობაში 2-ჯერ ჩაატარეს. ვინმე იტყვი, რომ შედეგში ქვეყანა ინგრევა და მთავრობა არ ჰყავს ამ ქვეყანას? ასეთი პროცესები მიდის ყველა ქვეყანაში, ვიღაცა ავადმყოფობის გამო გადადგა, ვიღაცა ოჯახური პრობლემის გამო, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს იმად, რომ მთავრობა დაიშალა.

— მიმდინარე პროცესები გამორიცხავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების გამართვას? შეგახსენებთ, რომ ყოფილა პრემიერმა არ გამორიცხა ამის შესაძლებლობა...

— ზოგადად, ცხოვრებაში არაფერი გამორიცხული არ არის და მით უმეტეს პოლიტიკაში, მაგრამ არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იგეგმება. ჩვენ არ ვაქცეს იმის ფუფუნება, რომ სამ წელიწადში ერთხელ ვატაროთ არჩევნები, ამას თავისი ვადები და წესები აქვს. თუ ვინმეს გონია, რომ არჩევნების ჩატარებით ლარის კურსი გამყარდება, ეს სრულიად არასწორი მიდგომაა.

— გაგრძელებული ინფორმაციით, მას შემდეგ რაც ორ ახალ მინისტრს დაამტკიცებს პარლამენტი და ნდობას გამოუცხადებს მთავრობას, უკვე განახლებული მთავრობის შემადგენლობის დატოვება მოუწევს თავდადვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს, მათ შორის საუბარია საგარეო საქმეთა მინისტრზე. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?

— მე ვისურვედი, რომ საკადრო ცვლილება ამით ამოინუროს, რადგან ასეთი ცვლილება გარკვეული დესტაბილიზაციის განცდას უჩენს ჩვენს საზოგადოებას. ბუნებრივია, ვისურვებდი, რომ ნდობაგამოცხადებული მთავრობა არჩევნებამდე დარჩეს.

თამაზა ქარაზა

გიგის თავისუფლება საქართველოში

ზეკელე კლავის შედეგები აბსოლუტურად არადაამაჯერებელია!

მსოფლიოს 199 ქვეყანას შორის საქართველო, პრესის თავისუფლების მაჩვენებლით, 93-ე ადგილი იკავებს და 48 ქულით ნანოლბრივ თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში რჩება. ასეთია საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის, „ფრიდომ ჰაუსის“, ბოლო კვლევის შედეგები, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის, „ფრიდომ ჰაუსის“, 2015 წლის ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, პრესის თავისუფლების მიმართულებით მსოფლიოში ვითარება გაუარესების ტენდენციით ხასიათდება. უფრო კონკრეტულად კი, 2014 წელს პრესის თავისუფლების გლობალური მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ნიშნულზე დავიდა. ამ ფონზე საქართველოს პოზიცია გაუმჯობესებით ხასიათდება — კერძოდ, კვლევა აჩვენებს, რომ 2010-2014 წლებში ქვეყანამ 7 ქულით გაიუმჯობესა მდგომარეობა. „ფრიდომ ჰაუსის“ პრესის თავისუფლების კვლევის თანახმად, საქართველო

საუკეთესო, რიგით პირველია ევრაზიის რეგიონის ქვეყნებს შორის. ის, რომ საქართველო ბოლო წლების განმავლობაში გამოკვეთილი ლიდერია რეგიონში, განსაკუთრებული სიამაყის საბაზს არ აძლევს მედიის ექსპერტ ნინო დანელიას — მისი შეფასებით, ქვეყნის მოწინავე პოზიცია გასაგებია, როდესაც ამ ჯგუფში იგი ედრება ავტორიტარულ ქვეყნებს, სადაც მთავარი პრობლემა კორუფცია და ადამიანის უფლებები და სადაც მთავრობის მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების გამო ციხეში ხვდებიან. „ცხადია, რიგის სამიტის წინ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, არ არის ცუდი მდგომარეობა. თუმცა, ჩვენ უკვე წლებია, ვითხოვთ, რომ შევადართო აღმოსავლეთ ევროპას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ვაკეთებთ ხოლმე ამის განაცხადს. რატომ ვართ ჯერ კიდევ შორს აღმოსავლეთ ევროპისგან? მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ხდება ძალიან მნიშვნელოვან-

ნი პრინციპების დარღვევა. მე გვულისხმობს ამ შემთხვევაში პოლიტიკურ მანიპულაციებს მედიაზე“.

თავისუფალი მედიაზე პოლიტიკური მანიპულაციის მაგალითად ნინო დანელია ასახელებს რეკლამის შესახებ კანონს. ექსპერტი პრობლემად თვლის ასევე მედიასაშუალებების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ კანონის არარსებობას. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ თვალსაჩინო პოზიტივებს, ამის თაობაზე სამოქალაქო განვითარების სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორი ზვიად დევედარიანი ამბობს: „გზედავთ განსხვავებულ აზრს მედიაში, გზედავთ პროგრამებს, — და არამხოლოდ საინფორმაციოს, — სადაც შეიძლება, რომ სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი იყოს. მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა მედიის მეცხოვეთება ვინაობები, რაც ასევე მნიშვნელოვანია. რაც საფუძვლად ედება, მე მაინც ვფიქრობ, რომ არის ის, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთხელ გაისმა კრიტიკა ხელისუფლების წარმო-

მადგენელთა მხრიდან მედიის მისამართით. ვგულისხმობ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ხელისუფლების ყოფილი მმართველის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებებს“.

ეს, ზვიად დევედარიანის შეფასებით, მედიაზე პირდაპირ ზეწოლად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, ნათლად აჩვენებს იმას, რომ ხელისუფლებას კრიტიკული, განსხვავებული აზრის მოსმენის პრობლემა აქვს. ამავე კონტექსტში იხსენებს ის 2014 წელს ტელეკომპანია „მედიასტრუქცი“ განვითარებულ მოვლენებს, როდესაც ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა ტელევიზია საერედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მოტივით დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ, ზვიად დევედარიანის აზრით, მათ ამის დასაბუთება ვერ შეძლეს.

მედიის პოლიტიკაზე აკეთებენ აქცენტს მოქალაქეები, რომელთაც, „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევის შესაბამისად, საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხზე ვკითხეთ აზრი: „დიდი ცვლილება არ ყოფილა — რაც იყო წინა წლებში, იგივეა

ალიან-ჩალიანი

სამსტატს უფლებები გაეზარდა

მთავრობმა სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ცვლილებების განხორციელებას გეგმავს. აღნიშნულს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ინიციატივები ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.

კანონპროექტით იცვლება საქსტატის საბჭოს იმ წევრთა შერჩევა, რომლებიც საჯარო მოსწიფეები არ არიან და რომელთაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს. ცვლილებით მათი შერჩევა ღია კონკურსის წესით მოხდება.

პროექტის თანახმად, საქსტატს თავისი ფუნქციების შესასრულებლად, ადმინისტრაციული ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან პირადი ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებამოსილება ენიჭება.

გარდა ამისა, თუ მენარჩეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრში რეგისტრირებული პირი არ წარადგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, ცვლილების თანახმად, აღნიშნული გამოიწვევს პირის გაფრთხილებას და შემდეგ დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, რაც არ ათავისუფლებს პირს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

პროექტით გათვალისწინებული ცვლილების თანახმად, საქსტატის საბჭოს გარკვეული ფუნქციები საქსტატის საბჭოს თავმჯდომარეს გადაეცემა. კერძოდ, ეს არის: საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცება; სტატისტიკური საქმიანობისა და მოსახლეობის სტატისტიკური სტანდარტიზაცია და მეთოდოლოგიის დამტკიცება.

კანონპროექტით შემოადის ახალი სუბიექტი – საქსტატის მრჩეველთა საბჭო, რომელიც არის საქსტატის საკონსულტაციო ორგანო და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათის იქნება.

ინტერპრესი



ახლაც. ისევ არ არის დამოუკიდებელი. „ნებისმიერ დროს დამოკიდებული იყო თავის პატრონზე – ვინც მფლობელია პრესის, იმის მიხედვით. პრობლემა იმაშია, რომ თვითონ ჟურნალისტები არ ვარჯიანან“. „წინა მთავრობასთან შედარებით, თავისუფალია, მაგრამ, ვინც აფინანსებს ხოლმე ტელევიზიებს, მაინც იმათი ზეგავლენის ქვეშაა მოქცეული“.

„ფრიდომ ჰაუსის“ კვლევაში საქართველოში პრესის თავისუფლების ხარისხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 48 ქულით შეფასდა. ეს, შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, ერთი ქულით გაუარესებას ნიშნავს.

წინა მხედველობა

რედაქციის ბან: თავისუფალმა „ფრიდომ ჰაუსმა“ ნათუ არ იცის, რომ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, საქართველოში მხოლოდ „რუსთავი-2“ და „ტაბულა“ თავის პატრონზე, ანტიეროვნულ, ანტიპუბლიკურ, ანტისახალხო ნაციონალიზმზე ბოლომდე დამოკიდებული, ყველა დანარჩენი კი, განსაკუთრებით პრესა (ჟურნალ-გაზეთები) აბსოლუტურად დამოუკიდებელია... საინტერესოა, ვის შვიტა აზრი ძვირფასმა „ფრიდომ ჰაუსმა“?!

„საყდრისი“ მესნიერების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს

– ბატონო დავით, თქვენ გახდით ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი. რას ნიშნავს ეს ძალიან საბაბიო ჯილდო თქვენთვის, როგორც მეცნიერისთვის და რას მისცემს ის საქართველოს?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი პრემიის მიღება ძალიან სასიამოვნოა... მაგრამ ყველა წარმატების შემთხვევაში ჩემთვის პრინციპულია, ჩანდეს საქართველო, როგორც მეცნიერების კერა. ქვეყნის ფარგლებს გარეთაც იცოდნენ, რომ აქ არსებობს ძალიან მაღალი დონის მეცნიერული ტრადიცია. ჰუმბოლდტის პრემია იძლევა დასავლეთის წამყვან ქვეყნებთან თანამშრომლობის საშუალებას. მე მაქვს ყველა პირობა, ვიმუშაო გერმანიის ცნობილ დაწესებულებებში, ჩავატარო კვლევები საქართველოს პარტნიორებთან ერთად, ასევე შეიძლება გერმანელი პოსტდოქტორანტი ჩემი ფრთის ქვეშ იყოს და ამას ჰუმბოლდტი დააფინანსებს. მთელი კარიერის მანძილზე შემიძლია, 3 თვემდე ვადით გერმანულ ფონდებში ვიმუშაო. ჰუმბოლდტის პრემია ერთ-ერთი გზაა, დარჩენი სამყაროსთან ინტეგრირებისკენ. ინსტიტუციური კვლევები იმისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველო იყოს რუკაზე... ჩვენ ამის უკიდევანო შესაძლებლობები გვაქვს. ქართული მეცნიერების მიმართ ხანდახან უპასუხებელი განწყობა გამოხატავენ, თუმცა, მე პირიქით მაგონია, ქართულ მეცნიერებას ყოველთვის ჰქონდა და აქვს განვითარების პოტენციალი. მაგალითად, ის დარგები, რომელც მემკვიდრეობას უკავშირდება, არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ...

– მაგრამ კითხვის ნიშნები აქვთ თქვენს ოპონენტებს თქვენთან, როგორც მემკვიდრეობის და განძის მცველთან. დაგვიბრძანებთ რელოგების მუზეუმის თანამშრომლები, პრეტენზიები აქვთ თანაგაფიულ მუზეუმთან, სვანეთის მუზეუმთან დაკავშირებით... რას ეტყვი ამ ადამიანებს?

– როდესაც ცვლილებები ხდება, მას ყოველთვის ჰყავს თავისი შემფასებელი. უშეცდომო არავინ არ არის... მაგრამ აქ მთავარი კითხვაა პასუხისმგებელი – რა გვინდა მივიღოთ? უნდა გავიმეოროთ ძველი, ვმართოთ ისე, როგორც წლების განმავლობაში იმართებოდა, თუ გვინდა ახალი მიდგომები, ფუნდამენტური, ხელშესახები გარდასახვა?! კარგად გვეცემის, რომ იმავე სისტემით მართვა შეუძლებელია, მაშინ, საჭიროა, ახალი ადაპტაცია... თავიდან ყოველთვის არის ხოლმე სკეპტიციზმი, მაგრამ ყველაფერს მერე შედეგი აჩვენებს.

ეროვნული მუზეუმი ერთ-ერთი დაწესებულებაა, საიდანაც თანამშრომლები არ გაუთავისუფლებიათ, მთლიანად შევინარჩუნეთ ადამიანური რესურსები, შევინარჩუნეთ შენობები, ექსპონატები... ახლა სხვა ეტაპზე ვართ – როდის და როგორ უნდა მოხდეს განვითარება. ამის კარგი მაგალითია სვანეთის მუზეუმი. იყო დისკუსია, მსჯელობა, პესიმიზმი, მაგრამ დღევანდელი შედეგის მერე მეტყვება, ბევრი ოპონენტი დარჩენილიყო. ქვეყნის ხელმძღვანელობა, პროფესიონალები, სამღვდლოება, საერთაშორისო დონის ექსპერტები – ყველა ერთხმად მაღალ შეფასებას აძლევს სვანეთის მუზეუმს.


– რაც შეეხება ხელოვნების მუზეუმს? იქ მართლაც თვალშისაცემია არასათანადო პირობები როგორც ადამიანებისთვის, ისე ექსპონატებისთვის.

– ხელოვნების მუზეუმი, როგორც მეცნიერისთვის, ჩემთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. 1973 წელს, როცა მუზეუმის დირექტორი შალვა ამირანაშვილი ედუარდ შევარდნაძეს წერილს წერს, ზუსტად იმავე პრობლემებზე მიუთითებს, რაც დღეს აქვს ამ მუზეუმს. ორი გზაა – ან კომპიუტერი ცვლილება მოვახდინოთ, ლოკალურად აღმოვფხვრათ პრობლემები, ან მეორე – გავაკეთოთ ყველაფერი ფუნდამენტურად. რომელიც არის უფრო გრძელვადიანი, ის დარჩება შთამომავლობას... ჩვენ უკვე გვაქვს დეტალურად განვიხილო, საერთაშორისო ექსპერტიზაგავლილი გვქვია, როგორ უნდა მოხდეს რეკონსტრუქცია, თუმცა, ამის განსახორციელებლად არ გვაქვს ფინანსები. უახლოეს მომავალში შეიქმნება სარესტავრაციო-საკონსერვაციო ცენტრი, დაემერმუნეთ, რომ ეს მთელი თაობებისთვის გადაწყვეტს პრობლემას.

– ამ პერიოდში კოლექციებს რა ბედი ელით?

– ექსპონატები დროებით საცავში უნდა განთავსდეს, რათა სპეცილიზირებულ გაკეთდეს, მაგრამ ამ აზრზე შეთანხმება მიღებული არ არის... მე მესმის, რომ ყველა თანამშრომელი ღირსეული ადამიანია და მტკივნეულად აღიქვამენ ფონდისთვის ხელის ხლებას, დროებითაც კი... მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნული მუზეუმი ქვეყანას ეკუთვნის და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციისთვის საჭიროა, ჩვენი კულტურა მსოფლიოს გადაეცნოს.

გვესაუბრება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე



ქვემო ქართლში აღმოჩენილია VI ათასწლეულით დათარიღებული უძველესი ყურძნის ნიშნები. კვლევის შედეგად დაგინდება, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოაშენა და შემდეგ უკვე კულტურული ვაზისგან ღვინო დაწურა. კერამიკული ჭურჭლის ანაფხველებში აღმოჩენილია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები, რაც ამ ჭურჭელში ღვინის არსებობას ადასტურებს. დადგინდა ისიც, რომ ამ პერიოდში იწყება მინათმოქმედების აღმავლობა, ჩნდება პირველი მეურნეობის ნიშნები, ადამიანები ცხოველების მოშინაურებას იწყებენ, ანუ საზოგადოება ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადის.

ამ პროექტის შესახებ „ნეშორალ ჯეოგრაფიკში“ ახლახან სტატია გამოქვეყნდა, რაც ჩვენს რეპუტაციას უკვე დადებითად მოქმედებს. – ბატონო დავით, პრაგმატულად თუ მიუგვადებით საკითხს, შეიძლება თუ არა საქართველომ ინვესტიციები ჩადოს მეცნიერებაში და ამან ირიბი ასახვა ჰქონდეს ეკონომიკაზე? მაგალითად, უძველესი ვეროპულემა აღმოჩენილი დმანისში, მაგრამ იქ არ ჩასულა წელიწადში ორსამ ათეულზე მეტი ვიზიტორი... ამიტომ გვეკითხებით, ექნება თუ არა ისეთი მიზიდულობა ჩვენს მემკვიდრეობას და კულტურას, რომ ამით ქვეყანას შემოსავლები დარჩეს?

– მცდარია, როცა ამბობენ, ჯერ ეკონომიკა და მერე განათლება. პირიქით, განათლება და მერე განვითარება. განათლება და ღირებულებითს ფუნდამენტზე ბრუნდი არ არის? – რეპუტაცია და ცნობადობა. ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილია ადამიანის უძველესი ნაშთები, მინათმოქმედების, მეტალურგიის ნაშთები, გვექონდა ვეროპული ცივილიზაცია (კოლხეთის სახით), ეს ცოტას ნიშნავს?! მაგრამ ამას უნდა საერთაშორისო დონეზე გახიანება, პოპულარიზაცია... ამავე დროს, ქვეყნის შიგნით თავის მართლება გვიწევს ხოლმე იმაზე, თუ რატომ გავაქვს უცხოეთში ექსპონატები, გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ თითქოს უდიერად ვეპყრობით ნივთებს, ვკარგავთ, უკან არ ვაბრუნებთ... და ა. შ. ეს ყველაფერი ხომ ჩვენი ცნობადობისთვის კეთდება, იმის წარმოსაჩენად, რომ ჩვენ მაღალი კულტურის ქვეყანა ვართ...

ნახეთ, რომ უძველესი კულტურის ქვეყნებში: სირიაში, ლიბიაში, ერაყში... კონფლიქტებია. მთელი ახლო აღმოსავლეთი არახელსაყრელი ამ თვალსაზრისით. ამიტომ, ახლა გვაქვს შანსი, საქართველოსკენ მოვიზიდოთ საერთაშორისო ინტერესები და აქ ჩაიდოს მეცნიერული ინვესტიცია. ფონდები, კი არ უნდა ჩავკეტოთ, არამედ გავხსნათ, ღია გავხადოთ, რომ უფრო ფართო საზოგადოებას ნახოს. ეროვნული მუზეუმი დღეს არის ყველაზე დიდი საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრი. ასობით საინტერესო პროექტი ხორციელდება, განსაკუთრებით საბავშვო პროგრამები ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, რესტავრაციაზე, ნუმიზმატიკაზე, იარაღზე, ხელნაწერის ისტორიაზე, მსოფლიო და ქართულ ხელოვნებაზე, თანამედროვე ხელოვნების ჟანრებზე და ასე შემდეგ.

უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდება ვანის მუზეუმში და ის დიდი კულტურული ცენტრი გახდება. სანამ მე ეროვნული მუზეუმის დირექტორი ვარ, ყოველთვის პრიორიტეტული იქნება უმაღლესი რანგის მეცნიერული კვლევა, ჩვენი მემკვიდრეობის კონსერვაცია-შენახვა და საზოგადოებრივი განათლება. სირცხვილია, როცა ჩვენივე მემკვიდრეობის საკითხს შიგნით ვერ ვწყვეტთ. შევეცადოთ, ამაზეც დავფიქრდეთ. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივად გრძელვადიანი ხედვით ჩვენ წარმატების მიღწევას შევძლებთ.

ესაუბრა თბა მოსია

ბოლო ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე ქვეყნის მასშტაბით აგორებული სამშენებლო-არქიტექტურული ბუმი, დიდი ხანია, საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მიზეზი რამდენიმეა, მათ შორის, უწინარესად, სამშენებლო სექტორის განვითარების მაღალი ტემპი, სამოქალაქო მშენებლობის ინტენსივობა, თუმცა კი, ამავდროულად, ყურადღებას იპყრობს ყველაფერ ამას დართული ინტეგრირებული „არქიტექტურული ფანტასმაგორია“. სწორედ რომ სამშენებლო ნორმების დარღვევა, ქალაქ-მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპების უგულვებელყოფა, არქიტექტურული სიმბინჯები და მიზანშეწონილობა ქართობს ბოლო პერიოდის სამოქალაქო მშენებლობაში უზადო გემოვნების და ურბანული მიზანშეწონილობის ნიშნებს.



# მშენებლობა თუ „მშენებლობა“? ანუ აღმშენებლობა თუ დაღმშენებლობა?!

ენალელება არაფერში, რომელსაც, თურმე, თბილისის ეკოლოგიური პრობლემები... არ ეხება(!).

ამჟამად კი დიველოპერელთა იერიში ყოფილი იბორომის გამწვანების ზონებზეა მიტანილი და, საგარაუდოდ, ახლო მომავალში ეს ტერიტორიებიც „შავი“ და „თეთრი“ კარკასით მოიფინება. ამდენად, ახლა მთავარია საბინაო ფონდის დახვეწება, თუმცა კი, თანხლები ინფრასტრუქტურის შექმნაზე არავინ ფიქრობს, მასზე, თურმე, მომავალმა თაობებმა უნდა იზრუნონ.

— ალბათ, ამავე თაობებს მოუწევთ ევროპის ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინება, როდესაც სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ სოციალურ, ანუ ეკონომ-კლასის ბინათმშენებლობაში, რომელიც საზოგადოების ნაკლებად შეძლებული ფენებისთვისაა განკუთვნილი, — ამბობს ბატონი გივი. — თანაც, აუცილებელი არ არის, რომ ეს მხოლოდ თბილისში ხდებოდეს. თანამედროვე ზოგადეკონომიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ახლო მომავალში მოსალოდნელია უძრავ ქონებაზე ფასების შემცირება და, აქედან გამომდინარე, დიველოპერთა ინტერესის დაქვეითება, განსაკუთრებით VIP-კლასის საცხოვრისების მშენებლობის მიმართ, რადგან ამ შედეგების მქონე ხალხს ბინა, ხშირად არა ერთი და ორი, უკვე შეძენილი აქვს. ამავდროს, რუსეთული რუბლისა და ევროს კურსების დოლარის მიმართ ვარდნა საზღვარგარეთ მომუშავე ჩვენს თანამემამულეთა მიერ ქვეყანაში გამოგზავნილი თანხების მთლიან მოცულობას შეამცირებს, რომლებიც, საგარაუდოდ, უძრავი ქონების შესაძენად იქნებოდა განკუთვნილი. ამდენად, სავსებით რეალურია, რომ ახალმშენებლობებმა პერიფერიულ ან აგლომერაციის ზონებში გადაინაცვლონ, სადაც თავისუფალი და შედარებით იაფი ტერიტორიების რეზერვი გაცილებით მეტია. ეს, უდავოდ, დადებითი პროცესი იქნებოდა, ვინაიდან ნაწილობრივ მაინც განტივირდება დედაქალაქი, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ ნაწილს, ხოლო, თუკი აღნიშნულ ტერიტორიებზე სრულფასოვანი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი საცხოვრებელი კომპლექსები იქნება, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბევრისთვის ეს უფრო მიმზიდველი იყოს, ვიდრე „გაგუდულ“ ცენტრში ცხოვრება.

მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ, სხვა დარგებისგან განსხვავებით, ქალაქმშენებლობით პრობლემების მიმალვა-მიჩქარება შეუძლებელია, მათ გამოსწორებას ათწლეულები და უფრო მეტი დრო სჭირდება, ხშირად ისინი საუკუნეების მანძილზეც კი რჩებიან.

შეიძლება საკითხის სხვაგვარად დასმაც: განა როგორ შეიძლება არქიტექტურაში არსებული პრობლემების გადაჭრა, როცა წლების მანძილზე უამრავი უმწვანესი საკითხი, რომელიც ჩვენი ყოფის უკლებლივ ყველა სფეროს ეხება, ჯერაც გადაუჭრელია? როცა პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში „პოლიტიკანობას“, ბიზნესი — „ბიზნესობანას“, პარლამენტი — „პარლამენტობანას“, „პრეზიდენტობა“ — „პრეზიდენტობანას“ თამაშს ემსგავსება, რაღაცაა გასაკვირი, რომ არქიტექტურას მხოლოდ მისი სემანტიკური მნიშვნელობა შემორჩეს?!

ესაუბრა  
ოთარ ტურაბალიძე

ზოგადად თუ ვიტყვი, არქიტექტურას ხშირად „გაქვევებულ მუსიკასაც“ უწოდებენ, თუმცა კი, შემოქმედებით დარგებს შორის იგი გამოირჩეულად ასახავს ქვეყანაში ამა თუ იმ პერიოდში შექმნილ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ვითარებას, რის გამოც მას ასევე ხშირად „ქვაში ასახულ ისტორიად“ იხსენიებენ. ამავე დროს, ქვეყნის თუ ქალაქის განვითარების ყველა ეტაპი, ასევე მმართველობის მონაცვლეობა, საზოგადოებრივი ყოფის ხასიათსა და მოსახლეობის მენტალიტეტზეც ახდენდა ზეგავლენას, მატერიალური გარემოს იერსახეზე გარკვეულ ნიშანსვლებს ტოვებდა. აი, ეს გახდეთ ამ ჯერზე ცნობილი არქიტექტორთან **გივი ბაზანიასთან** კიდევ ერთი დასამახსოვრებელი საუბრის ამოსავალი ნერტილი, რომლის მთავარი თემა სამამულო არქიტექტურაში სადღესოდ შექმნილი ვითარებაა.

— თუკი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბოლო 10-15 წლის ისტორიას ამ თვალსაზრისით გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ პირობითად სამი მიმართულების გამოყოფა შეიძლება. ესენია, კერძოდ, მთავრობის პოლიტიკურ პირობით დაკავშირებული, „სამართალი“ არქიტექტურა, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ დაფინანსებული და განხორციელებული არქიტექტურული პროექტები და მშენებლობა, ასევე დიველოპერების მიერ წარმოებული შერჩევითი „წერტილოვანი“ საბინაო მშენებლობა, — ამბობს ბატონი გივი. — ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მოღვაწეობის, ასე ვთქვათ, ზოგიერთ სამშენებლო-არქიტექტურულ ასპექტს თუ განვიხილავთ, პირველი, რაც თვალსაჩინოა, ესაა მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროს გაუქმება, დედაქალაქის მთავარი არქიტექტორების დევნა და დისკრედიტაცია, არქიტექტორთა კავშირის ისედაც მნიშვნელოვანი უფლებების შემცირება, ერთი ნიჭიერი არქიტექტორი კი რამდენიმე წლით ციხეში გამოკეტეს, რადგან გამოძიებას სასურველი ჩვენება არ მისცა და სხვა. ეს იყო მკაფიო გზავნილი იმის შესახებ, რომ ამირიდიან ქვეყნანას მხოლოდ ერთი მთავარი არქიტექტორი ჰყავდა და, აქედან გამომდინარე, სწორედ მის საექტო გემოვნებას უნდა მორგებოდა ყველა და ყველაფერი. იმ დროიდან მოყოლებული, დიდი საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობის საზეიმო დაწყება და მათი გაცილებით უფრო პომპეზური გახსნა პირადი განდიდების ერთ-ერთი მთავარი საშუალება გახდა. ამ დროს გახსნილი ობიექტების სრულიად დაუშვებელი, ხშირად კი სულაც დანაშაულებრივი სამშენებლო თუ არქიტექტურული ხარვეზებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა — მთავარი იყო წითელი ბაფთის გაჭრა და საკუთარი დიდებით ტკობა.

ბატონი გივი გაბუნია იმასაც უსვამს ხაზს, რომ იმ დროს რამდენიმე არქიტექტურულად საინტერესო ობიექტებიც აშენდა, საგზაო ქსელის ზოგიერთი მონაკვეთიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, რისი ალუნიშნობა მართებული არ იქნებოდა.

ამასთან, საგულისხმოა, რომ გაცილებით უფრო მოკრძალებულად ხორციელდებოდა იმ ასობით ობიექტის დაპროექტება და მშენებლობა თუ რეკონსტრუქცია, რომლებსაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აფინანსებდა. თანაც, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ როგორც ახლად, ასევე რეკონსტრუირებულ ობიექტებზე აქცენტი არა არქიტექტორულ „კეკლუცობაზე“, არამედ თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ახალი მასალების გამოყენებასა და შენობების შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობაზე კეთდებოდა.

— სამწუხაროდ, იმ დროს ყველა დაგვიმომოხიბვრებელი ობიექტის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა, მათ შორის, პირველ რიგში სა-

ქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ალსანიშნავი, სადაც, მისი ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა დიდი ძალისხმევით არა, მრავალი უნიკალური ექსპონატი და ბიბლიოთეკის წიგნების ძვირფასი კოლექცია საფრთხეში ჩავარდებოდა, — განაგრძობს ბატონი გივი. — ამის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ თავად მეცენატი, ქვეყანაში განვითარებულ მოვლენათა გამო, იძულებული გახდა პოლიტიკაზე გადაერთულიყო. ამან კი, თავის მხრივ, გარკვეული ნეგატიური ზეგავლენა საქველმოქმედო ფონდის მუშაობაზე იქონია.

რაც შეეხება საბინაო მშენებლობის ბუმს, აქ საქმე კიდევ იმან გაართულა, რომ ამ სარფიან ბიზნესში დიველოპერულ კომპანიებს შორის გამართულ კონკურენტულ დოღში... კომერციული ბანკებიც ჩაერთვნენ, არქიტექტურა და არქიტექტორები კი ისევ მეორე პლანზე აღმოჩნდნენ, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ, თუმცა კი, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საგულისხმო პროექტებს, როგორებიცაა დიდი საცხოვრებელი კომპლექსები „ლისი ვერანდა“ და „დორი“.

ზოგადად კი, სადღესოდ სამშენებლო ბიზნესის მთავარი მიზანი მინის კარგი ნაკვეთის „დათრევა“ და ზედ, რაც შეიძლება მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, საოფისო თუ კომერციული ფართის „ჩატენვა“, რათა 300-400 დოლარად აშენებული კვადრატული მეტრი ფართი 800-1000 დოლარად გაიყიდოს. ეს მეტად სარფიანი ბიზნესია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ სასტარტო თანხების წარმომავლობით არავინ არ ინტერესდება, და „სითეთრეში“ ეჭვი არაფერს არ შეაქვს.

არქიტექტორის როლი ამ პროცესში უმ-

ნიშვნელოვანი, ვინაიდან კომპიუტერული პროგრამებით ნაგებობის გეგმისა და ფასადის კომპილირებას დიდი ცოდნა და გამოცდილება არ სჭირდება.

ბატონი გივი გაბუნია იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ევროპის უმეტეს ქვეყანაში ტენდერის ჩატარების გარეშე მშენებლობა არ ხორციელდება, თანაც გამარჯვებული პროექტის ავტორი არქიტექტორი, როგორც წესი, დამკვეთის სატენდერო კომისიაში შედის, რომელიც, თავის მხრივ, მშენებელი მოიჯარეთა კანდიდატურებს იხილავს. ჩვენში კი პირიქით ხდება: არქიტექტორებს სამშენებლო კომპანია რჩევს, ისინი ხშირ შემთხვევაში საკუთარ შტატშიც კი ჰყავს და საქმესაც საკუთარი გეგმების შესაბამისად აკეთებინებს. თუ რა შედეგი აქვს ამ მანკიერ პრაქტიკას, ამას დედაქალაქის მერიის თუ საორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიების, ვერეს, ვაკის, სხვა ახლად განაშენიანებული უბნების ზოგიერთი კვარტალის მნახველი თავადაც ხედავს.

ბუნებრივია, რომ ამ კვარტალ-გეტოებში არა თუ ავტოსადგომებისთვის, საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნებისთვის, ელემენტარულად მწვანე ნარგავებისთვისაც კი არ არის დარჩენილი არც ერთი მტკაველი მიწა! თანაც, ეს იმ დროს ხდება, როცა ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების ზონების ოდენობით თბილისი ევროპაში ერთ-ერთი ბოლო ადგილზეა! წინა ხელი სუფთების მმართველობის დროს მარტო ბაგები-წყნეთის მონაკვეთზე სულ რამდენიმე დღეში რამდენიმე ათასი ხე გაიჩენა. ეს ამბავი, სამწუხაროდ, არც მწვანეთა პარტიას ადარდებს იმ დონეზე, როგორც უნდა ედარდებოდეს, არც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

## ალიან-ჩალიანი

### სელნანერთა პროვინული სენტრი განათლების სამინისტროს წინააღმდეგ

**სელნანერთა** პროვინული ცენტრი ხელისუფლებისაგან განათლების სამინისტროს მიერ ცენტრთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებას ითხოვს. სელნანერთა პროვინული ცენტრში, გუშინ თანამშრომლებმა ერთობლივი პრიფინგი გამართეს, სადაც ხელისუფლებისა და საზოგადოებისადმი მიმართვა სელნანერთა ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა შალვა ბლოგელმა წაიკითხა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სელნანერთა პროვინული ცენტრის შორის რამდენიმე პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით უთანხმოება წარმოიქმნა; ეს საკითხებია: სელნანერთა პროვინული ცენტრის სამომავლო ადგილსამყოფელი, ცენტრის არაადეკვატურად მცირე მიწაზე და თანამშრომელთა დახარჯვის უზრუნველყოფა. ასევე, სელნანერთა პროვინული ცენტრიდან ლაილაშის ბიბლიის შესაძლო გატანა. მიმართვაში ნათქვამია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის საგანგებო განცხადების შემდეგ მოისხნა. „მიუხედავად ჩვენი დიდი მოლოდინისა, რომ ცენტრსა და სამინისტროს შორის წარმოქმნილი პრობლემები მოგვარდებოდა, დიალოგისა და ურთიერთშეთანხმების გზით, სამინისტრომ აირჩია არსებუ-

ლი საკითხების გადაწყვეტის ასეთი გზა: გამოაცხადა კონკურსი ხელნაწერთა პროვინული ცენტრის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. მიგვაჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნისტი და შეუსაბამო მიდგომა წინააღმდეგება ხელნაწერთა პროვინული ცენტრის როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი და შესაბამისი საქმიანობის თავისუფლებას და დამოუკიდებლობის პრინციპებს“, — აღნიშნულია მიმართვაში.

მიმართვის მიხედვით, პრობლემის გადაწყვეტის ამგვარი არაადეკვატური მიდგომა საფრთხის შემცველია ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დასახლებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ცენტრი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მეცნიერების ხელშეწყობის გაცხადებული პოლიტიკის გათვალისწინებით, შეაფასოს სელნანერთა პროვინული ცენტრთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხელი შეუწყოს პრობლემების დარეგულირებას და გაატაროს ქმედითი ღონისძიებები სელნანერთა პროვინული ცენტრის წინაშე არსებული გამოწვევების რეალური და ეფექტური გადაწყვეტისათვის. ასევე, ცენტრი სთხოვს სამეცნიერო წრეებს და ქართველ საზოგადოებას, შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში მხარში დაუდგეს ცენტრს.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს საგარეო ურთიერთობების განყოფილება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საგარეო ურთიერთობების განყოფილება ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მადიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691	
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ორაკლი აბანოს ქ. №14 / 031230725	
3	ელ-ფოსტა <a href="mailto:licenziabi@yahoo.com">licenziabi@yahoo.com</a>	
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები

	საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები
<b>ობიექტი № 25</b>	
ზუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი
2	მისამართი/ტელეფონი
3	ელ-ფოსტა
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი
7	ხალიცენზიის ობიექტის ადგილმდებარეობა
8	აუქციონის საწყისი ფასი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების დრო და თარიღი
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა
14	სხვა მონაცემები

ღირს ღაფიძეებზე

# აგრესიული პეზობლის ბასაჭირი

## საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივის შესახებ

**ვლადიმირ პუტინის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო“, დღეს უკვე ბანალური ქვეყნების კატეგორიაა. რუსეთის გეოპოლიტიკური პოზიცია არასდროს ყოფილა ისეთი სრულყოფილი, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იმუაზინდელი გეოპოლიტიკური პოზიციები მაშინ არსებულ თითქმის ყველა პრიორიტეტს პასუხობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი, რუსეთი ცდილობს დაუბრუნდეს**



**წარსულის იმ გეოპოლიტიკურ ჩარჩოებს, რომელიც კონტროლირებადი ტერიტორიების დაკარგვის შედეგად მოერღვა. დღევანდელი მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს რუსის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის (მოსკოვი) უსაფრთხოებას, რომ არაფერი ვთქვათ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასა და გავლენის სფეროების გაგრძელებაზე.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი თავისი ტრადიციული გავლენის სფეროებში აქტიურად უწყობს ხელს კონფლიქტების გაღვივებას და არასტაბილურობის კერების შექმნას. ამ გზით ის ცდილობს მის უშუალო საზღვრებთან მონინალმდეგედ მიჩნეული (აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები) ქვეყნების დამკვიდრებას ხელს შეუშალოს. ასევე, ცდილობს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისე დასუსტებას, რომ გადამწყვეტ მომენტში მათი რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნება განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდეს.

რუსეთის ამ მეთოდებს განსაკუთრებული შედეგები არ მოუტანია. სავარაუდოდ, ამ პოლიტიკის გადახედვის შედეგად პოსტსაბჭოთა სივრცის ეკონომიკური ინტეგრაციის ალტერნატიული გეგმა — ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ. ამ უკანასკნელმა ფუნქციონირება 2015 წლის 1 იანვარს უნდა დაიწყოს. რუსეთი და კავშირის დადასტურებული წევრები (ყაზახეთი, ბელარუსი, სომხეთი) თავიანთი დემოგრაფიული და ეკონომიკური აქტივებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ აშშ-ს, ჩინეთის ან, ევროკავშირის ეკონომიკას ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ. ამდენად, გასაგებია ხდება რუსეთის სურვილი დროულად დაანქონოს საკუთარი კონტროლი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე და მათ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ კაპიტალს დაეუფლოს. ეს პროცესი ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო. თუმცა, ამ გზაზე მას არცერთი სერიოზული წარმატება არ გაუფორმებია. უკრაინის ცენტრალურ ხელი-სუფლებაზე კონტროლის დაკარგვამ ეს პროცესი კიდევ უფრო გაართულა. უკრაინა „კავშირისთვის“ სოლიდური და სამაგალითო „შენაძენი“ იქნებოდა. საქართველოსთან „მცირე ომის“ შედეგები კი, ამ „დიდი იდეისთვის“ შეუფერებელი შედეგებით დასრულდა.

რუსეთი ფიქრობს, რომ ამ გზაზე მათი გამოკვეთილი მეტოქე შეერთებული შტატებია. სამხედრო-პოლიტიკური ელიტა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ადგილი აქვს ანგლოსაქსურ სწრაფვას მსოფლიო პეგემონობისთვის. პეგემონობისთვის მისწრაფების ლოგიკა კი ევრაზიული ენერგორესურსებისა და მსოფლიოს თავისუფალ მარაგებზე კონტროლის დაწესებაა. მათი ღრმა რწმენით, ეს პროცესი რუსეთის, როგორც ევრაზიის კონტინენტის უმსხვილესი წარმომადგენლის, დაშლაზე გადის.

ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა რუსეთისთვის ვირტუალურ კატეგორიას არ წარმოადგენს. მიუხედავად

იმისა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსკოვმა შექმნილი კონფლიქტის ლოკალიზაცია, რეგიონში, აფეთქების პოტენციალის მქონე ზონები კვლავ რჩებიან. ასეთი მოწყვლადი ზონის შენარჩუნება კიდევ უფრო რთულია, როდესაც რეგიონებისა და ცენტრის თანამშრომლობას არანაირი იდეოლოგიური საფუძველი არ გააჩნია.

ერთ-ერთი ყველაზე „მუშა“ დოქტრინა (დემოკრატია) მონინალმდეგის ექსკლუზივია. დასავლეთთან დაპირისპირების პირობებში მეტოქის იდეოლოგიის პლაგიატობა დააკნინებდა რუსეთის მმართველი ელიტის იმპერიული იმიჯს. გარდა ამისა, დემოკრატიული ღირებულებები შეზღუდავდა სახელმწიფო მანქანის მოქმედების თავისუფლებას და საფრთხეს შეუქმნიდა მმართველობის ავტორიტარულ მოდელს. სწორედ ამით აიხსნება ჩრდ.კავკასიიდან ადამიანის უფლებების თემებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა. რფ-ის სამხრეთ საზღვართან დემოკრატიული ღირებულებების ერთგული, სამხრეთ კავკასიური სახელმწიფო — საქართველო, ასეთი მოწყვლადი რეგიონის შენარჩუნებას კიდევ უფრო ართულებს.

უფრო მეტიც, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს არსებობა რუსეთის გავლენის სფეროდან აგდებს მთლიანად რეგიონს. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელს უწყობს რეგიონის სატრანზიტო ფუნქციის შენარჩუნებასა და გაძლიერებას. ასევე, უზრუნველყოფს რფ-ის კონკურენტი ძალის ცენტრების დამკვიდრებას თავის უშუალო სამეზობლოში და მათ მიერ კასპიის აუზისა და ცენტრალური აზიის მდიდარი ენერგომარაგების ათვისებას. რეგიონში უკვე მოქმედი ენერგოპროექტების შემდეგ, ტრანს-ადრიატიკის მილსადენით აზერბაიჯანული გაზის ევროპაში, რუსეთის გვერდის ავლით მიწოდებაზე მიღებული გადაწყვეტილება (2013 წ.) მოსკოვს გულგრილს დიდხანს ვერ დატოვებს. ეს გარემოებები საფრთხეს უქმნის რუსეთის მონოპოლიას ევროპის ენერგობაზარზე.

ამ გზაზე, „საუკეთესო ღონისძიება“ სამხრეთ კავკასია — კასპიის აუზი — ცენტრალური აზიის კონსტრუქციიდან საქართველოს ამოგდება იქნებოდა — საქართველოზე სრული პოლიტიკური კონტროლის დაწესების გზით. ამ შემთხვევაში, ორი ქვეყნის ურთიერთობების ბოლო წლების ანალიზი ბუნებრივად გვიბიძგებს, პირველ რიგში, მოვლენათა განვითარების ყველაზე უარესი სცენარი — სამხედრო აგრესია განვიხილოთ.

თვალსაწიერ მომავალში, საქართველოზე სრული კონტროლის დაწესების მიზნით, რუსეთის სამხედრო აგრესიის მაღალი ალბათობა არ იკვეთება:

- 1) პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი ახლა უკრაინაშია; 2) უკრაინული ავანტიურის გამო დაწესებული სანქციების მტიკინული შედეგები უკვე სახეზეა; 3) ახალი სამხედრო ავანტიურა ევროპული სახელმწიფოებს აღადგინებს ახალი სანქციების დაწესებაში ადვილად დაარწმუნებს; 4) ახალი სანქციები მოსკოვის უკვე შერყეულ ეკონომიკას კიდევ უფრო არაპროგნოზირებადს გახდის; 5) ოფიციალური თბილისის, ურთიერთობების რეგულირების პოლიტიკა, მოსკოვის ხელიდან აცლის საქართველოს „აგრესიული მეზობელი სახელმწიფოს“ ტრადიციულ მიზნებს;

აქვე არსებობს რიგი გარემოებები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ რუსეთისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს მაცდური პოლიტიკური წინადადების ინიცირება — საქართველოსთვის ფედერაციული (ან კონფედერაციული) მოწყობის შესახებ. რუსეთში შეიძლება, მიიჩნიონ, რომ ეს ადეკვატური პასუხი იქნება თბილისის კონსტრუქციულ პოლიტიკაზე. იდეა გათვლილი იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომხიბვლელობაზე. მსგავსი წინადადების რეალიზაციის შემთხვევაში კი რუსეთი „გარიგების“ ერთადერთი გარანტის როლს არავის დაუთმობს. რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური ბუნებიდან გამომდინარე, ეს გარანტიები რუსეთის სამხედრო ძალაზე გაივლის. პერსპექტივაში კი რუსეთს საშუალება მიეცემა ოფიციალურ თბილისზე კონფედერაციული მოწყობის ყველა ნეგატიური ეფექტები გაავრცელოს. რუსეთი ეცდებოდა, მაქსიმალურად მჭიდროდ მიიზიდოს საქართველოს ეკონომიკა რუსულ ბაზარს და კონტროლირებადი ბიზნეს-ელიტა შექმნას. რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობით დაინტერესებული ადამიანების ეს ჯგუფი და ხელისუფლების მუდმივი შანტაჟი, ტერიტორიული მთლიანობის დაშლის მუქარით, ფაქტობრივად, საშუალებას მისცემს კრემლს, თბილისის პოლიტიკური დღის წესრიგი უკარნახოს. საბოლოო ჯამში, ოფიციალურ თბილისს ამ გარიგებაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით მონაწილეობა, შესაძლებელია სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ფასად დაუჯდეს.

რფ-ის სტრატეგიულ მიზანს პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენა წარმოადგენს. რუსეთი ცდილობს სამხრეთ კავკასიიდან კონკურენტი ძალებს განდევნას. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად კი საქართველოზე სრული კონტროლის დაწესება ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საქართველოს სუვერენიტეტის გაუქმება რუსეთს საშუალებას მისცემს სამხრეთ-კავკასიური ენერგოდენდენსი ამოკეტოს, ან მნიშვნელოვნად დააკნინოს მისი პოტენციალი. თვალსაწიერ მომავალში რუსეთის პირდაპირი სამხედრო აგრესიის ნიშნები არ იკვეთება. გაცილებით რეალისტურია რფ-ის მხრიდან საქართველოს ფედერაციული, ან კონფედერაციული მოწყობის იდეის ინიცირება.

გიორგი პოლოდინი

# დედამიწის ზურგზე



## იაპონიის პრემიერმა პირად წერილში პუტინს აუხსნა, თუ რატომ არ შეუძლია ჩაიქვას მოსკოვში 9 მაისს

„წერილში განმარტებულია, რომ მოსკოვში ვიზიტი არ შეიძლება შედგეს პრემიერ-მინისტრის სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული პრობლემების გამო“, — განაცხადა ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ესისიდე სუგამ. ამავე დროს, მას არ დაუზუსტებია, თუ კიდევ რა ენერა პირად წერილში რუსეთის ლიდერისადმი.

## სენატორი-სოციალისტი სანდერსი მოწოდებას მიიღებს აშშ-ში პარტიზანული პრაქტიკის პრაქტიკის პრაქტიკის

სანდერსი აცხადებს, რომ შეეცდება მიიღოს მონაწილეობა კანდიდატად დემოკრატიის პარტიისაგან, თუმცა, მისი წევრი არაა. დასახელებსათვის ბრძოლაში მას მოუწევს შეაგინროვოს პილარი კლინტონი და მის შანსებს დიდად არ აფასებენ.




## მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე გვახსოვს ლოკის მილიციის განყოფილება აუთოქაის შესახებ

ამჟამად სამართალდაცვის ორგანოები წყვეტენ საკითხს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ინფორმაცია სავარაუდოდ შემსრულებლების შესახებ არაა. შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნარევიების ნარჩენები, რომლებიც, სავარაუდოდ, უცნობებმა შეაგდეს ლგოვის მილიციის შენობაში ჩამტვრეული ფანჯრიდან.

## შესაქლო „პოლარული ქალი“ „ნასამ“ პლანეტაზე დაინახა

ამერიკულმა კოსმოსურმა აპარატმა „ნიუ ჰორიზონტსმა“ გადმოსცა დედამიწაზე ფოტოები, რომლებზეც მოჩანს ამ ჯუჯა პლანეტის ზედაპირის სხვადასხვა მონაკვეთები, მათ შორის, მისი ერთ-ერთი პოლუსიც. „გასაოცარია, ადევნო თვალყურით, თუ პლუტონი, რომელიც წერტილად გვჩვენება, როდესაც დედამიწიდან უმზერ, იქნეს კონკრეტულ მოხაზულობას“, — კომენტარს აკეთებენ მეცნიერები.



2015-04-18 03:34:00 UTC  
DISTANCE: 107,697,728 KM  
CLOSEST APPROACH: 90.94 days



მუბაზ სანიკიძე არც პოლიტიკოსი და არც ისტორიკოსია. ამგვარი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, თუ მის საჯარო გამოსვლებს თვალყურს მივადევნებთ. მას, როგორ მოხვდა იგი „ოცნებაში“? – მოგესვენებათ, საქართველოში ფუნქციონირებული კუთხურობა, რასაც ყოველ წაბიჯზე წააწყდებით. გუბაზსაც, ამის გამო მნიშვნელოვანი ოდენობის მხარდამჭერი ჰყავდა.

ამას წინათ ტელეკომპანია „იმედის“ ტელედიტორმა გამოაცხადა სტუმრად გვეყოლება პარლამენტის ვიცე-სპიკერი ბატონი გუბაზ სანიკიძე. მაშინვე ვიფიქრე რაღაც მიუღებელს იტყვის, რაც ქართულ საქმეს ნაკლებად წაადგება-მეთქი.

დობლომატმა პოლიტიკოსმა ისე არ უნდა ილაპარაკოს, როგორც ქუჩაში ან საზოგადოების ვინრო წრეში ლაპარაკობენ. კერძოდ, რა თქვა სანიკიძემ, რაც პოლიტიკოსს არ მოუხდება? – „თუ აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლებას ჭკუა ყვოდა“. შეიძლება, მოსათმენი იყოს საკუთარ ხელისუფლებაზე უხეში სიტყვის თქმა, მაგრამ მეგობარი, სტრატეგიული მოკავშირე სახელმწიფოს ხელისუფლებაზე ამგვარი სიტყვების გამოყენება ნამდვილად მიუღებელია.

სანიკიძემ აგრეთვე თავდაჯერებით განაცხადა, რომ საქართველო ჯერჯერობით უფუნქციო სახელმწიფოა, ამიტომ დასავლეთი ჩვენს დასაცავად თითქმის არ გაატიკებს. ჯერ ერთი, სამყაროში არ არსებობს რაიმე რასაც სათანადო ფუნქცია არ ჰქონდეს. ჭიანჭველა რომ ჭიანჭველაა, იმასაც რაღაც მცირე ფუნქცია აქვს. ეს დებულება ფილოსოფიის პირველი კურსის სტუდენტისთვისაც კარგად არის ცნობილი.

ნეპალი მსოფლიოს უდიდესი მთების გარემოცვაში არის განთავსებული, ამიტომ მას არსებობის უფლება სხვებზე ნაკლები აქვს?!

საქართველოს თავისთავად, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფუნქცია აქვს – აზიისა და ევროპის შემაერთებელი დერეფნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე მდებარეობს, რასაც ამიერკავკასია ჰქვია. ამერიკელებისა და ევროპელებისთვის საქართველო ამ მხარეში დასაყრდენია. ამჟამინდელ ხელისუფლებას სურს, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს დასავლეთთან, და ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთანაც.

სანიკიძე კი – ხელისუფლების წარმომადგენელი – აკრიტიკებს თავისიანებს დასავლეთისადმი თითქოს გადამეტებული ყურადღების და სხვა ქვეყნების უკანა პლანზე დატოვებისთვის, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მას იმიტომ ეჩვენება ასე, რომ ე.წ ნაცები ჩასაფრებულნი არიან და ხელისუფლების თითოეულ ნაბიჯს, გამონათქვამს სხვანაირ

# ენაზე მოქალაქე სიტყვას...

ინტერპრეტაციას აძლევენ და გაჰყვირიან: საქართველოს ხელისუფლებამ დასავლეთის ორიენტაცია შეიცვალაო. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაცებს სალაპარაკო რომ არ მიეცეთ, ხელისუფლე



ბა მართლაც ყოველთვის ხაზს უსვამს დასავლეთისკენ ორიენტაციის უცვლელობას. ეს გარემოება შეიძლება შევადაროთ ოჯახში უფროსების საუბარს. და ამ საუბრის მოსმენით ბავშვის ქმედებას, როდესაც მას ოჯახის გარეთ გაშვებულ სრულიად სხვა შინაარსის შემცველი გამონათქვამები.

სანიკიძე ვერ გარკვეულა ხელისუფლების პოლიტიკაში, რომლის წარმომადგენელი თვითონ არის და თავს იყენებს ზემოხსენებული ბავშვის მდგომარეობაში. ეს კიდევ ერთი საბუთი იმიო, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს ინტეგრალურ პოლიტიკაზე. სანიკიძემ ერთხელ საჯაროდ განაცხადა: ნიუ ჯორდანი ტერინალდობი იყო. მითხველს ნუ გაუკვირდება ამგვარი შეურაცხყოფელი სიტყვების გამოყენება, – ეს ხომ სანიკიძის საუბრის მანერაა.

ჟორდანია უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში და საზღვარგარეთაც. ამჟამადაც მას მონივნებით მოიხსენიებენ. შენ კი – ქართვე

ლი კაცი, მის სახელს ლაფში სვრი?! სანიკიძე დაბეჯითებით აცხადებდა, რომ მხარაძე იყო სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნის ინიციატორი. ამაზე, საქმის კურსში მყოფმა ადამიანებმა და სპეციალისტებმა იგი მკაცრად გააკრიტიკეს და დასცინეს კიდევ. იგი იძულებული გახდა უკან დაეხია და თავიც მოკატუნა – მე რომის იმპერიის სპეციალისტი ვარო. პოლიტიკოსმა, თანაც, ისტორიკოსმა საქართველოს უახლესი ისტორია არ უნდა იცოდეს?

მართალია, ფილიპე მხარაძის მმართველობის პერიოდში მოხდა სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნა და ამ აქტზე მისი ხელმოწერა დაფიქსირებული, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ საქმის ნამდვილი ვითარება. მხარაძე და მისი მთავრობა სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ კრემლის ნება ასეთი იყო. სწორედ ნაციონალ-უკლონისტების დამსახურებაა, რომ ოსები მოითხოვდნენ, გაცილებით მეტი ტერიტორია შესულიყო ავტონომიურ ოლქში, ვიდრე შემდგომში განუსაზღვრეს მას.

მხარაძე საჯაროდ აცხადებდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ნომინალურად არსებობს და ფაქტობრივად მას კავშირურო მართავს. ამ და სხვა მიზეზების გამო, 1922 წლის ოქტომბერში საქართველოს ცეკა სრული შემადგენლობით გადადგა. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირის ისტორიაში. იგივე შემთხვევა იყო, როდესაც 1924 წლის აჯანყების სისხლით ჩახშობა მხარაძემ ოფიციალურად დაგმო. ბევრმა არ იცის, რომ მხარაძემ საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა დაგმო და ამ ფაქტს დაპყრობა და ბოროტება უწოდა. არც ქართველ და არც საზღვარგარეთელ ისტორიკოსებს არ შეუნიშნავთ ერთი მეტად უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ნაციონალ-უკლონისტებს მხარაძის მეთაურობით სურდათ, რომ საბჭოთა კავშირი მონეობილიყო კონფედერაციული პრინციპებით და არა ფედერაციულით. სწორედ ამ იდეის განხორციელებისთვის ბრძოლას შეენირა ნაციონალ-უკლონისტების უმრავლესობა. თუმცა, მათ მიანიჭ გამოსტაცეს ლენინს კონფედერაციის ზოგი ელემენტი. მაგალითად, საქართველომ ნება მიიღო საკუთარი ჯარის ყოლისა. ამისათვის კრემლმა ბიუჯეტიდან ფულიც კი გამოყო. შედეგად შეიქმნა ქართული ჯარი. ეს ცალკე განხილვის თემაა და მოითხოვს წარმომადგენელ ანალიზს, რისთვისაც წინამდებარე სტატია არ არის გამიზნული. სანიკიძისთვის ზემოთ აღწერილი მოვლენები, რა თქმა უნდა, უცხო ხილს წარმოადგენს და ნურც შევეცდებით, იგი რამეში დავარწმუნოთ – წყლის ნაყვა გამოგვივა.

თადეოზ უჯმაჯურიძე

## განხილვა

### აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-3066 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვეთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს არტურ მურადიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

#### აუქციონის ტარება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: არტურ მურადიანი (P/N: AN0631293), მის: სომხეთის რესპუბლიკა, ქ. ერევანი, აგასის ქ. №27;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ბათუმი, ლესელიძის ქ. №6 (საკადასტრო კოდი: 05.30.23.010).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია მოფარის უფლება.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 157806.27 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, კლიუს სპეციალისტის მომსახურების საფასური – 14424.84 ლარი;

3. აუქციონის დაწყების დრო: 2015 წლის 14 მაისი, 11 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალე: შპს „Skazka“ (ს/ნ 445403787), მის: ქ. ბათუმი, ლესელიძის ქ. №6;

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. აუქციონის პირობები: ● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მეთხოვნის დაკავშირებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვეთიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სერვალისაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 14 მაისის 11:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## კაკალ გულში

● მოლდოვაშიც ცუდი მდგომარეობააო, დაგვამწვიდა მანანა კობახიძემ. სომალიც ძალიან ცუდ დღეშია, შაბტიც და ნეპალში მთლად საშინელება ხდება, ქალბატონო მანანა! ● დღეს რამდენიმე ტიპი დავინახე ანკესებით მიდიოდნენ. ალბათ, მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად მიიჩქაროდნენ ● ასეთი უაზრო მოქმედება, მსოფლიო ჩვენს მთავრობას შეუძლია: კაცი ორი დღითაა ჩასული ბაქოში და ბადაშვილი მთხოვნას უგზავნის, დააკავეთ და გამოგვეცითო. „ამაზონით“ გამოიწერე ბარემ და ჩამოგივა... ის მაინც არ იცი, რომ ეგეთი სერიოზული საკითხები წერილებით არ გვარდება? ჯერ დალაპარაკებოდი ბაქოში ვინმეს, ვისაც ენება ეგ საკითხი და მერე მიგწერა. თუ გეგონა, პასუხად, ბანდეროლით გამოგიგზავნიდნენ მიშას? ისე, „ინფორმაციისთვის“, ჩვენზე ნაკლები ვაჟკაცები არ არიან და უნდა გცოდნოდა, უარს რომ მიიღებდი...

## ნეხცილოვანი თქაზები



● ავტობუსების კონტროლიორები როდის გადადგებიან? დავიჯერო მაგათ არ ენატრებათ ცოლ-შვილი, ან ყველა ჯანმრთელია? ● ნაციონალებო... სულ რო გასკდეთ – ბაქრადე გამაღდეგს, ირმა გალაშაზდეს, თარგამაძეს პირი დაეღოს, ლარი მოკვდეს და ა.შ... მაინც ვერ გამოიწვევთ დესტაბილიზაციას ვერც მთავრობაში და ვერც ხალხში თქვენს დაბრუნებაზე აღარაფერს ვამბობი ● ნეტა ლევან ვიფიანის გადადგომა ლარს გაამყარებს? ● სასწრაფოდ გადადგეს მინისტრთა კაბინეტის ბუფეტის გამგე და დადგეს მზარეულის პასუხისმგებლობის საკითხი

მე აღარაფერი არ მაშივა? იკითხა ლარის კურსდამთავრებულმა ლარისამ. ● ჯაჯანიძეც რომ გადადგეს არ გამოვა? ● არ დაგეზაროთ, გადაახვიეთ და 29 აპრილის „სხვა შუადღეს“ უყრეთ. წამყვანები და თანამყვანები რა ცინიკურად აღნიშნავენ დღის შესანიშნავობას – არიქა, მთავრობა გადადგაო, ბალერინ-ბალერონები ხომ ხტებიან და გვერდულად-კონტრუშულად ფეხებს ერთმანეთს ურტყამენ (არ ვიცი, რა ჰქვია მაგ ილეთს), აი მაგის გაკეთება აკლდათ... ობოლადემ – არიქა! ვიფიანი გადადგა, იმედია, აწი სპორტს ეშველებაო, მარინა ბერძენი რო ჰყავთ ზემუსიკოსი, იმან – არიქა, იმედია მომავალი ხელისუფლება „მანინ“ იზრუნებს ჩვენზეო... აი, მარაზში – რა ჯერ ეგ ერთი აპოლიტიკური გადაცემა რომ მიგყავთ და პროფესიონალობას აწვებით, ცოტა ერთი ადგილი უნდა დააყენოთ, პოლიტიკური შეხედულებები ეკრანს მიღმა დატოვოთ და მაყურებელს სცეთ პატივი, მერე კიდევ თქვენ თავს უნდა სცეთ პატივი, პირველ რიგში. შეიძლება, ნაგავ ტელევიზიაშიც შეინარჩუნოს ადამიანი ღირსება, მაგრამ, რაც ტელევიზია – ის „ჟურნალისტიკა“!

ამოკრება  
ბინა ბაბრინძიძე

მოვლენის შიშა

ნანა ალექსანდრია: პროფესიონალური თვალსაზრისით ეს გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანია



ჩინეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო დიდოსტატი, საქადრაკო ოლიმპიადების რვაგზის ჩემპიონი, ლირსებისა და ვანტანგ გორგასლის მესამე სარისხის ორდენის მფლობელი ნანა ალექსანდრია გვესაუბრება.

„გამარჯვება მოულოდნელი იყო და ძალიან დიდი წარმატებაა. პროფესიონალური თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ გუნდური ჩემპიონატი ყველაზე ღირებულია. მართალია მსოფლიოს საქადრაკო ოლიმპიადა უფრო მასშტაბურია და ქვეყნისთვის უფრო პრესტიჟულია იმიტომ, რომ გაეროს ყველა ქვეყანა მონაწილეობს, მაგრამ პროფესიონალური იმიტომ აღვნიშნე, რომ აქ საუკეთესოები თამაშობენ და საქადრაკო ოლიმპიადაზე, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც რაოდენობა ტურებისა შემცირდა (აღრე იყო 14, ახლა 11), შეიძლება ისე

მილოცვა



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, ითვალისწინებს რა სპორტის ოსტატ ბატონ თინათინ ხარბაძის მზრუნველ დამოკიდებულებას ქართული სპორტისადმი, დაბადების დღეს ულოცავს ღირსეულ მამულს შვილს, უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

კოზა კოზახიძე

რაზი

„ნიუკასლ ფალკონსი“ აგვისტოში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეხვდება

„ნიუკასლ ფალკონსი“ აგვისტოში საქართველოს დაუბრუნებულ ნაკრებთან მატჩში, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა დინ რიჩარდმა „უდიდესი გამოცდის“ სახელით შერაცხა.

ლი დინ რიჩარდი აღნიშნავს: „ჩვენთვის დიდი პატივია „კინგსტონ პარკზე“ ისეთ ამაყ სარაგბო ერს ვუმასპინძლოთ, როგორც საქართველოა. „ბორჯღალოსნები“ მსოფლიო რაგბისთვის ნამდვილად მზარდ ძალას წარმოადგენ

საც სურვილი აქვთ თავიანთი ნიშნით დაიკავონ რაგბის სამყაროში. ჩვენი გულშემატიკეების მადის აღსაძვრელად კი ეს მატჩი მსოფლიო თასის წინ კარგი საშუალებაა.“



ნენ და მსოფლიო თასის წინ მათ რაზმთან შებრძოლება ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის გამოცდა იქნება. ქართველი მოთამაშეების უმრავლესობა ფრანგულ კლუბებში გამოდის, სადაც ყოველ კვირას უმაღლეს დონეზე თამაშისა და გამოცდილების დაგროვების საშუალება ეძლევათ. „2015-2016 წლების სეზონის დამდეგს ჩვენთვის ეს უდიდესი გამოცდაა. გუნდში გვყავს რამდენიმე ახალი მოთამაშე, რომლებ-

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი: „მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპზე „ნიუკასლის“ წინააღმდეგ მატჩის გამართვა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. მაღლიერები ვართ იმისთვის, რომ „ნიუკასლმა“ მასთან თამაშის შესაძლებლობა მოგვცა და დარწმუნებული ვარ, რომ რაგბის გულშემატიკეები „კინგსტონ პარკზე“ გამართული შთაბეჭდილები მატჩით ნამდვილად კმაყოფილები დარჩებიან.“

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის მსოფლიო თასამდე „ბორჯღალოსნები“ კიდევ ორ წინასაბურთო ტესტ-მატჩს გამართავენ: 2 სექტემბერს „მოლბი როუდზე“ (სურეის საგრაფო) კანადის, ხოლო 5 სექტემბერს „ქინგსტონ სთედიუმზე“ (გლოსტერი) – იაპონიის წინააღმდეგ.

მანუარ ბიორბაძე

კალათბურთი

ერთი ქულის ფასი

სუპერლიგის რეგულარული სეზონის ფინალში დიდი მნიშვნელობა შექონდა შსს აკადემიის გუნდისა და „ქუთაისის“ მატჩის შედეგს.



ვინაიდან პირველ ნრეში როინისპირელებმა მეტოქე ერთი ქულით – 66:65 დაამარცხეს, მასპინძლებს, სულ მცირე, ოქუტლიანი რევაზში მართებდათ, რათა უშუალო კონკურენტებისთვის თანაბარი მონაგრის შემთხვევაში პირად შეხვედრებში მიღწეული უპირატესობით გაეხსროთ. მართლაც, ძალოვნებმა 70:68 იმარჯვეს, რაც მათ შესაძლო

ნახევარფინალურ პლეი-ოფში იმავე მონააღმდეგესთან საკუთარ მოედანზე უფრო მეტი ბრძოლის გამართვის უფლებას მიანიჭებთ. არადა, საფინალო სასტენამდე 2 წუთით ადრე სტუმრები 67:61 დაწინაურდნენ და ასეთ დასასრულს ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა. დაეძინა, რომ შედამწყვეტი ბურთი ბოლო წამზე ბერიშვილმა ჩააგდო.

ყველაზე შედეგიანები: ცინცაძე – 20, შარაბიძე – 15 ქულა, 10 მოხსნა (შსს აკადემია), ფაშავეი – 18 ქულა, 11 შედეგიანი გადაცემა, 6 მოხსნა („ქუთაისი“).

ეროვნული ჩემპიონატის XIV ტურის დანარჩენი შედეგები: „ოლიმპი“ – „ბათუმი“ 98:69, „დინამო“ – „სოხუმი“ 113:74, „არმია“ – „რუსთავი“ 84:67.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 11, შსს აკადემია, „ქუთაისი“ – 10-10, „რუსთავი“ – 8, „ოლიმპი“ – 6, „ბათუმი“ – 5, „სოხუმი“, „არმია“ – 3-3 მოგება.

პლეი-ოფში 4 მაისს დაიწყება და 3 გამარჯვებამდე გაგრძელდება. რაც შეეხება წყვილებს, ერთმანეთს შეხვებიან: „დინამო“ – „არმია“, შსს აკადემია – „სოხუმი“, „ქუთაისი“ – „ბათუმი“, „ოლიმპი“ – „რუსთავი“.

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

პირველად - საუკუნოვანი ისტორიაში

იტალიის სერია A-ს 2015-2016 წლების სეზონში დებიუტანტი ეყოლება საფეხბურთო კლუბ „კარპის“ სახით. არადა, გუნდს საუკუნოვანი ისტორია გააჩნია, თუმცა აქამდე

იტალიური ფეხბურთის ელიტაში ერთხელაც არ უახსარებია. 1909 წელს დაარსებული გუნდი სულ რაღაც ექვსი წლის წინათ სერია D-ს ბინადარი გახლდათ, მაგრამ მიმდინარე სეზონი „კარპიმ“ სერია B-ში ერთი ამოსუნთქვით განვლო და ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე არათუ სერია A-ს საგზური, არამედ პირველი ადგილიც გაინაღდა. გუნდს 38 ტურის შემდეგ 75 ქულა აქვს დაგროვილი და მესამე, საპლეი-ოფო ადგილს უკვე 12 ქულით უსწრებს.

„კარპიმ“ ისტორიული თამაში „ბარის“ წინააღმდეგ გამართა, რომელიც ფრედ – 0:0 დასრულდა, თუმცა, აღნიშნული შედეგი სერია A-ში დროზე ადრე ადგილის დაბეჭდვისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

გიორგი შოთაძე



ინტერნეტიდან

ალეცამ სპორტს უგანა

პორნოზმარსკვლავი იმის პორნოგრაფიკული, რომ ცხოვრების ამოებასა და მუსთავი წუთისოფლის დანოლას არ უნდა შეუშინდეს და უკეთეს ფული გამოიღვეს, არც ამან უნდა შეაშფოთოს მისი ფაქიზი გული.

ამ მრავალმხანველ და მომავალში კიდევ ბევრისმხანველ ქალს სულ თავისი შრომით, წვით, დაგვითა და ოფლისდენით ნაშოვნი ფული ერთ-ერთ ამერიკულ გოლფ-კლუბში ჩაუდია და მოგების მოლოდინში გაყურსულა, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მომხდარა, კლუბი გაკოტრებულია და ტანჯული ალექსა გალოკილი თითოეტი უფულოდ და უსასოოდ დარჩენილა.



მაგრამ ალექსა ოუშენი სულაც არა ჰგავს მარცხის გამო თავზარდაცემულ ხალხს – მას მალევე მოუკრებია ძალები, ახალი შემართებით ჩაბმულა პორნო-ქარიშხლებში და იმედი აქვს, რომ მისი შრომა კიდევ ერთხელ გამოიღებს შედეგს. ერთი კია, ალექსა იძახის, ჩემდათვად სპორტში ფულის დამბანდების ასე და ისეო. რამდენად გადაიტანს ამერიკული გოლფი ამ ქალის დაკარგვას – ეს კი ნამდვილად არ ვიცით...

როსტომ რაჭველიშვილი

რა მოხდა ფლოუს პრემიერი?

დეკლარაციები — პრემიერ-მინისტრობად და პრემიერ-მინისტრობის უბედურობა

საბარტოშვილს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარია შეიძლება ქონებრივი დეკლარაციის ბოლო განცხადება 2014 წლის 31 დეკემბერს შეაგსო. თუმცა, მანამდე ირაკლი ლარია შეიძლება ორი დეკლარაცია აქვს შევსებული — პრემიერობამდე და პრემიერობის შემდეგ. პირველი დეკლარაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბერს აქვს შევსებული, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ.

ოჯახის წევრების გრაფაში ვკითხულობთ: მეუღლე — ნუნუ თამაზაშვილი, შვილები — ნიკოლოზ და ანდრია ლარიაშვილები. ირაკლი ლარიაშვილის საკუთრებაში 3 ბინა და 3 არასაცხოვრებელი ფართობი დაფიქსირებული. გაგარინის ქუჩაზე 121,80 კვ.მ ფართობის ბინა და იმავე მისამართზე 16,00 კვ.მეტრის ავტოფარეხი. ასევე, მოსაშვილის ქუჩაზე 170 კვ.მ ფართობის ბინა და იქვე 38 კვ.მეტრის არასაცხოვრებელი ფართი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოსაშვილის ქუჩაზე კიდევ ერთი, 159 კვ.მეტრის ფართობის ბინას და 11,00 კვ.მეტრის არასაცხოვრებელ ფართობის მფლობელია. ირაკლი ლარიაშვილის მფლობელობაში ორი მანქანაა — Mercedes Benz, 2009, NNA-100, Toyota Corolla, 2007, GII-100 არის მითითებული. თუმცა, გრაფაში არც ერთის ღირებულება არ არის დაფიქსირებული.



პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას ირაკლი ლარიაშვილის მიერ 2013 წლის 27 დეკემბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ პრემიერის უძრავ-მოძრავ ქონებას არაფერი შემატებია. ბანკ „ქართუში“ მის სახელზე გახსნილ საკრედიტო ანგარიშზე 26 061 ლარი, ხოლო ფულადი თანხის გრაფაში 20 000 ლარის ნაცვლად უკვე 10 000 ლარია ასახული. პრემიერის მანქანის გრაფაში კი მხოლოდ 2009 წელს გამოშვებული Mercedes Benz ფიქსირდება. მისი წლიური შემოსავლები კი ასეთია: საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას 15476.19 ლარი, შპს „ქართული ოცნების“ დირექტორობისას 131250, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრობისას მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 7879.35 ლარი შეადგინა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბოლო დეკლარაცია 2014 წლის 31 დეკემბერს აქვს შევსებული. როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ირაკლი ლარიაშვილს ახალი მანქანა არ შეუძენია და კვლავ 2009 წელს გამოშვებული Mercedes Benz-ის მფლობელია. საბანკო ანგარიშები კი ასეთია: ბანკ „ქართუში“ მიმდინარე ანგარიშზე კვლავ 1,00 ევროა, იმავე ბანკის კიდევ ერთ მიმდინარე ანგარიშზე 4,72 დოლარი, კიდევ ერთ მიმდინარე ანგარიშზე 18,51 ლარია. ხოლო ბანკი „ქართუს“ საბარათე ანგარიშებზე 10,61 ლარი, 4987,94 დოლარი და 4371,44 ევრო.

დეკლარაციაში ასევე ვკითხულობთ, რომ პრემიერის მეუღლე ნუნუ თამაზაშვილი „თიბისი“ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე 229,74 ლარს, ხოლო ბანკი „ქართუს“ საბარათე ანგარიშზე 0,33 ევროს ფლობს. ფულადი თანხის მესაკუთრის გრაფაში ირაკლი ლარიაშვილს კვლავ 10 000 ლარი აქვს მითითებული. პრემიერის წლიური შემოსავლები კი ასე გამოიყურება: შს მინისტრობისას წლიურმა ანაზღაურებამ 77946.62 ლარი, ხოლო პრემიერ-მინისტრობისას 5869,05 ლარი შეადგინა. საგულისხმოა, რომ პრემიერის დეკლარაციაში ოჯახის წევრების ქონების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არის. ასევე ირკვევა, რომ ამავე წლებში პრემიერს რაიმე სახის ფულადი საჩუქრები არ მიუღია.

მიმდინარე წლის მაგტში პრემიერი მესამე ვაჟის მამა გახდა, თუმცა, დეკლარაციაში მის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ განუთავსებიათ.

სალომე გოგონია

მატიკომის თანამშრომლები თანაუგრძობენ ეკა უჩანეიშვილს მამის კონსტანტინე (კობა) უჩანეიშვილის გარდაცვალების გამო და სამიძიარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პრიმიწალი

საგამოძიებო სამსახურმა საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი დააკავა

მოტყუებით ქონებრივი დაზიანების, კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევის და კომპიუტერული მონაცემის შეცვლის ფაქტზე, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები პუსეინ ერჰან ერგუჯი და აზიზ ერგუჯი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, ბრალდებულებმა შესაბამისი რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გარეშე დაამონტაჟეს ინტერნეტ სიგნალის მიმღები სპეციალური მოწყობილობა ენ.სიმბოქსი, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთიდან განსორციელებული სატელეფონო ზარი, ინტერნეტ ტრაფიკის გამოყენებით გარდაიქმნებოდა ლოკალურ ზარად და როგორც ქვეყნის შიგნით განსორციელებული ზარი, ისე მიეწოდება საქართველოში მოქმედ კავშირგაბმულობის კომპანიის აბონენტებს.

„დანაშაულებრივი ქმედებით უწყობდნენ დაირღვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადამწყვეტილება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს და საქართველოში მოქმედ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია სპეციალური მოწყობილობები, ენ.სიმბოქსები, სპეციალური გადამცემი ანტენები, კომპიუტერული ტექნიკა და ათეულათასობით სიმ ბარათი“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

დაკავებული არიან ნარკორეალიზატორი და მომხმარებელი

შს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის ბრალდებით 1981 წელს დაბადებული, ამერიკის მოქალაქე გიორგი მ., ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით 1981 წელს დაბადებული გიორგი ხ. თბილისში დააკავეს.

სამინისტროს განცხადებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ხ-მ გიორგი მ-სგან ახალი ნარკოტიკული საშუალება „ენ-მ-მ“ შეიძინა. სამართალდამცველებმა გიორგი მ-ს დედის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „ენ-მ-მ“ 15 ფიფინიტი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,12 გრ ბუბერნორფინს შეიცავს, ხოლო გიორგი ხ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია გიორგი მ-სგან შექმნილი 1 ფიფინიტი, რომელიც 0,008 გრ ბუბერნორფინს შეიცავს. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ამერიკიდან დედასთან სტუმრად ჩამოსული გიორგი მ. ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა.

ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, — განაცხადეს სამინისტროში. მათივე თქმით, გამოძიება გიორგი მ-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის, მოხმარებისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს.

გაზაფხულმა ამოათმობინა...


პოეზია ღარღი გაიყოლა...

კი მისტიროდა მურმან ლება-ნიძე თავისი მშობლიური რაჭის დაცარიელებას, კი იყო დალონებული, „გვათუ, ვინმეს მთწინოს ეს სოფლები, ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაესახლოს“, თუმცა, ჩვენს ძვირფას პოეტს არც ის ეშლებოდა რაჭის, ზემო იმერეთის, სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის... და საერთოდ, საქართველოს მთიანეთის დაცარიელება, დამოკლეს მასწავლით რომ ეკიდა საქართველოს თავზე. ზედმინწევით მუშაობდა მოწოდება — ბარში ცხოვრება სჯობს, ქუთაისის ავტოქარხანაში და რუსთავის მეტალურგიულში არაფერი მოგაკლდებათ, იცხოვრებთ ადამიანურად. სპეციალურად ამ პროპაგანდისთვის იქმნებოდა მწერლური თუ კინომატოგრაფიული ნაწარმოებები აბა, „საბუდარელი ჭაბუკი“, აბა, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და ა.შ.

მაგრამ, მათ დანატოვარ მიწებს რა ეშველებოდა? ვინდა დამაშუშავებდა?... პრობლემის გადასაწყვეტად ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვა დაიწყეს. და, აი, ახდა კიდევ მურმან ლებანიძის, ეჭვი: „გვათუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!“ მოვიდა?... ერთმანეთს ასწრებენ ჩინელები და ინდოელები, არაბები და ირანელები... ყიდულობენ ქართული მიწებს, გაშინაურდნენ ჩვენს მთა-ბარში... თუმცა, ამ ბოლო დროს, ქართულ სოფელში უკეთესობისკენ შეიცვალა ვითარება: „ახალმა მთავრობამ“ ფერმერებსა და გლეხებს ათასნაირი შეღავათი დაუწესა სოფელ-ადგილების მიხედვით, უპატრონოდ მიგდებულ მიწების დასამუშავებლად, მონეული მოსავლის გასასაღებლად... და, რახან ხელისუფლების ხელ შეწყობით უკეთესობისკენ მიდის ჩვენი მარჩენალი სოფლის საქმე, იქნებ, ამის თაობაზე მეტად და მეტად მიგვეწყვიტა სხვა უცხოეთში თავშეფარებული ჩვენი თანამემამულეებისათვის, იქნებ, მეტად და მეტად, ასე ვთქვათ, „შეგვეხარებინა“ მათთვის რა სასიკეთო ძვრებია მაშაპაველზე, რა დაფასებაა, რა შეღავათებია იმათთვის, ვინც მშობელ კარ-მიდამოს მიუბრუნდა, სოფლად მძიმე შრომა, რა-

დაცნაირად სასიკეთო გახდა. მობილურისა და ინტერნეტის ეპოქაში, მათ, რა თქმა უნდა, ყველაფერი იციან, რაც ხდება აქ, მაგრამ მაინც მგონია, თუკი მეტი დაინტერესება ექნებათ, ნელ-ნელა დაუბრუნდებიან მონატრებულ სახლ-კარს.

ოლონდ, ეს არ უნდა იყოს სათუო დაპირებები, არ უნდა იყოს



ინფორმაცია

სანიტარიული ჭრა ბორჯომის ულბოზა

რუმორც ბორჯომის გამგებულმა დიმიტრი ვიფიანმა განაცხადა, სანიტარიული ჭრას ბორჯომის მუნიციპალიტეტი განახორციელებს, რომლის დროსაც მოიჭრება მხოლოდ ხმელი, ხმობადი და მავნებელი ძლიერ დაზიანებული ხეები, რომელიც დაახლოებით 400 ოჯახს უსასყიდლოდ გადაეცემა.

ჭრის პროცესს მონიტორინგს სამცხე-ჯავახეთის სატყვე სამსახური გაუწევს. ჭრების დასრულების შემდეგ პლატოს ტერიტორიაზე, ეროვნული სატყვე სააგენტო მიმდინარე წელს, ტყის აღდგენის სამუშაოებს განახორციელებს. როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ, სამცხე-ჯავახეთის წინვოგან კორომეზში მზებდავი ქერქიჭამიას მასობრივი გავრცელება 2011 წლიდან გამოიწვევდა. ხმობის ყველაზე მაღალი ინტენსივობა ბორჯომ-ბაკურიანის სატყვე უბნის, ჩარხისწყლის სატყვეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა. ტერიტორია დასახლებულ პუნქტთან სიასლოვის გამო ძირითად სარეკრიაციო ზონას წარმოადგენს და მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება როგორც ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისთვის, ასევე რეგიონის ინფრასტრუქტურისა და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესების მიზნით.

© ჩვენი კარავალინი

ბანანი ჩვენი უკვე დიდი ხანია, აღარაა ეგზოტიკა. ტროპიკული ხილი ბევრის ისეთივე შინაურული ჰგონია, როგორც ვაშლი, მსხალი, ქლიავი ან ატამი. თანაც ბანანი — ეს კარგი საშუალებაა ვიტამინების ზამთრის და ადრეული გაზაფხულის უკმარისობასთან ბრძოლაში.

ჩვენი ექსპერტია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-დიეტოლოგი ბაღინა შათირიშვილი.

რა არის შიშინი?

საშუალო ზომის ერთი ბანანი დაახლოებით 30 გრამ ნახშირწყლებსა და 3 გრამ უჯრედის შეიცავს, იგი უზრუნველყოფს ორგანიზმის ვიტამინ B-6-ის მოთხოვნას, კალიუმის ყოველდღიური ნორმის 13 პროცენტს, C ვიტამინისა და მანგანუმის დღიური ნორმის 15 პროცენტს და სპილენძისა და ბიოტინის მოთხოვნის 10 პროცენტს. ამიტომ საჭიროა შეიყვაროთ ბანანი, თუ:

- დასაქმებული ხართ სპორტით ან ფიზიკური მუშაობით — ნახშირწყლები მოგამარაგებენ ენერჯით და გაზრდიან ორ-

ნანი არ იწვევს სისხლში შაქრის დონის მკვეთრ ამაღლებას, ამიტომ ისე სახიფათო არ არის გამხდრებისთვის, როგორც მწიფე ხილი, რომელსაც გლიკემური ინდექსი აქვს 70 და მეტი. ხოლო, თუ თქვენი მიზანია აიმალოთ შრომისუნარიანობა, უმჯობესია უპირატესობა მიანიჭოთ ყველ თელ ან ოდნავ გადამწიფებულ ბანანსაც კი — შაქარი კი ხომ ეს ისაა, რაც სჭირდება ორგანიზმს, რომ თავიდან ავიცილოთ გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა.

გვეყოფა ნახევარიც

შიშინიდან იმისა, რომ ბანანი საკმაოდ ბევრ შაქარს შეიცავს, მას ხშირად განიხილავენ, როგორც სწორ საკვებს მათთვის, ვინც დიეტაზე ზის. რასაკვირველია, თუ კანფეტებს ან ნამცხვრებს შევადარებთ, ბანანი, მართლაც, უფრო სასარგებლოა. მაგრამ, თუ ზედმეტ კილოგრამებს ვებრძვით, არ არის სასურველი ერთ ჭამაზე მოვიხმაროთ 15 გრამზე მეტი ნახშირწყალი. სწორედ ამ დოზას შეიცავს საშუალო ბანანის ნახევარი. აი, მთელი ხილი გამხდრებისთვის — ეს უკვე ზედმეტია. ამიტომ, თუ არ შეგიძლიათ აკონტროლოთ მადა და შემოიფარგლოთ ბანანის ნახევრით, უმჯობესია, შემოვიფარგლოთ ნახევრებით.

უბუნებოება

ბანანს ხშირად ანტიდებურსანტის თვისებას მიაწერენ — და ეს მითი ბოგინობს უკვე მრავალი წელია. თითქოს ბანანი შეიცავდეს

ბედნიერების ეგრეთ წოდებულ ჰორმონ სეროტონინს, რომელიც გვიცავს მწუხარებისა და აპათიისგან.

სინამდვილეში სეროტონინი ორგანიზმში წარმოიქმნება ტრიფტოვანისგან — განსაკუთრებული ამინომჟავისგან, რომელსაც ცილოვანი პროდუქტები შეიცავს. აი, სწორედ პროტეინები ბანანში პრაქტიკულად არ არის, და ტრიფტოვანის ოდენობა ბანანში უკიდურესად მცირეა. ამიტომ სევედის წინააღმდეგ საშუალების წოდებაზე ამ ხილს პრეტენზია არაფრით არ შეუძლია, რომ ჰქონდეს.

სხვათა შორის, უნდა განვასხვაოთ დეპრესია — დაავადება, რომელსაც ვერ განკურნავს სპეციალისტის დახმარების გარეშე, და ჩვეულებრივი ცუდი განწყობილება, რომელიც დაკვირვებულია დალილობასთან და ტონუსის დაქვეითებასთან ორგანიზმში. დეპრესიისგან ბანანი, რასაკვირველია, ვერ გადაგვარჩენს, აი, მოგვანიჭოს ძალა და ენერჯის მუხტი, ამ ხილს ნახშირწყლების მაღალი შემცველობით შეუძლია. იმისთვის, რომ გავზარდოთ „ბანანის ეფექტი“, უმჯობესია, ვჭამოთ ის ცილოვანი პროდუქტებთან, მაგალითად, ხაჭოსთან შეხამებით. ცილა გააძლიერებს ნახშირწყლების კეთილნაყოფიერ გავლენას ნერვულ სისტემასთან, მაგრამ ამასთან ერთად, არ მისცემს შაქრის დონეს სისხლში აინოს ძალიან სწრაფად. ეს კი ნიშნავს, რომ სიმხნევის მუხტი გაგრძელდება უფრო დიდხანს და მისთვის არ მოგვიწევს გადავიხადოთ ზედმეტი კილოგრამებით.

ვიძლით მხადველოვაში

მწვანე ბანანი თქვენთან სახლში დამწიფდება რამდენიმე დღეში, თანაც ეს არც გემოს, არც ვიტამინის შემადგენლობას ზიანს არ მიაყენებს. საჭმელსა, რომ ბანანებს კრეფენ მწვანეს, ნაყოფი კი მწიფდება უკვე ტრანსპორტირების პროცესში. სხვათა შორის, თბილ ქვეყნებშიც კი ბანანებს ჯერ კიდევ მწვანეებს კრეფენ. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ნაყოფი ხეზე არ იქნის აუცილებელ გემოვნებისთვის თვისებებს და არომატს, პირიქით, კარგავს მათ, ნაყოფის კანი სკდება და რბილობი ადვილად ზიანდება სიღამპლით, ამიტომ ამ ხილს დაუმწიფებელს კრეფენ. ხოლო, თუ საჭიროა ხილის დამწიფების პროცესის დაჩქარება, ჩადეთ იგი ერთ პაკეტში ვაშლებთან. თურმე, ვაშლი გამოიმუშავებს განსაკუთრებულ აირს, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ ბანანი მალე გაყვითლდეს.

სარეჟისო აუკრიკიდან



ბაღაპარჩის ბანანი დავრეისიბან?

განიზმის ტონუსს. თუ წინ გაქვთ აქტიური ვარჯიში, სანამ სპორტულ დარბაზში წახვიდოდეთ, მიირთვით ბანანი;

● არ გინდათ გქონდეთ პრობლემები გულთან და სისხლძარღვებთან დაკავშირებით — კალიუმის ამგვარ გულის კუნთს, ნორმაში მოჰყავს არტერიული წნევა, თავიდან გვაცილებს ჰიპერტონიის განვითარებას;

● გაქვთ პრობლემები საკვების გადამუშავებასთან — უჯრედის აუმჯობესებს საკვების გადამუშავების პროცესს, გვეხმარება დისბაქტერიოზის პროფილაქტიკაში, და იმის წყალობით, რომ ბანანი, ხილის უმრავლესობისგან განსხვავებით, თითქმის არ შეიცავს მჟავებს, იგი შეუძლიათ მიიღონ საფრთხის გარეშე მათ, ვისაც აწუხებს გასტრიტი ან ხშირად იტანჯებიან კუჭის წვისაგან, ძმარვისგან.

● ხშირად გინვთ ნერვიულობა — ვიტამინი B6 აუმჯობესებს ნარეული სისტემის მუშაობას და გვეხმარება, წინააღმდეგობა გაუწიოთ სტრესს.

მწვანე თუ ყვითელი?

რაც უფრო ვითვლით ბანანს, მით მეტია მასში შაქარი, ამიტომ მათ, ვისაც გახდობა უნდათ, უმჯობესია, უპირატესობა დაუქონდნენ ხილს მწვანეში. მწვანე ბანანში ნახშირწყლები რეზისტენტულ კრახმალს წარმოადგენენ, რომელიც არ აითვისება წვრილ ნაწლავში და როდესაც მსხვილ ნაწლავში სვდება, იქცევა საკვებ გარემოდ ნაწლავების სასარგებლო მიკროფლორისთვის. თუმცა, შეუწყველობის დროს მწვანე ბანანს შეიძლება მუცლის შეტევილობა გამოიწვიოს. ამიტომ არ ღირს ორ ბანანზე მეტის მიღება ერთ ჭამაზე. დაბალი გლიკემური ინდექსის (40) წყალობით მწვანე ბა-

© ცინცხალი ანეკდოტები

— ბიჭო, ჭიჭიკია, წუხელ შენი ცოლი ოპერაში ვნახე — იმდენი ახველა, იმდენი, რომ ყველა მაგას უყურებდა, წარმოადგენა კინაღამ ჩაიშალა. რა არის, რა სჭირს, ქრონიკული ბრონქიტი ხომ არა აქვს? — არა, კაცო, ახალი კაბა ეცვა და სხვა რა ექნა?!

— თუკი თქვენ უფროსად დაგნიშნეს, ნუ გგონიათ, რომ თქვენ უფროსი ხართ. უფროსი ისაა, ვინც თქვენ უფროსად დაგნიშნათ.

— დიმიტის მეთავე დღეს პუტუჩიას სექსუალური ხასიათის კომპარები დაენწყო: წვეს თავისი მეზობლის ახალგაზრდა ცოლთან აბაზანაში, რომელიც პირამდე სავსეა ჩინირომით.



დიპლომატი რესტორანში:

— ოფიციალთა ანგარიშის მოტანა არ სცადოთ, იმიტომ რომ არაფრის გადახდელი არა ვარ! ეს საჭმელი კი არა, ნამდვილი საწამლაგია! — ეს ანგარიში არ არის, ბატონო — ეს ანდერძია! თქვენი სადილის ანგარიში კი თქვენმა მეუღლემ გადაიხადა.

— ცოლის განებივრებაც ისეთი უნდა, ჭიჭიკიამ რომ იცის: ყოველ დღით ვაგას ლოგინში მიაბრუნეგს ხოლმე, უუფუნიას კი მხოლოდ მისი დაფქვა და მოხარშვა სჭირდება...

— ჩემი ქმარი უკვე 50 წლისაა. ჩვენს შორის განსხვავება 20 წელია. — ო, ქალბატონო, მომილოცავს! — რას მილოცავთ, ბატონო? — როგორ თუ რას? 70 წლის კვალბაზე მშვენივრად გამოიყურებით!

ავტორთა საჭურავლოვო! რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა SAKARTVELOS RESPUBLIKA მხარბლის ძ. №7 ინდექსი 66434

გამომცემლობა: შპს „თანადგომბა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) 1-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალიკო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძიძე 54 33-33-24